# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 14 სექტემბერი, 2010 წელი.

№171 (6537)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge და sakresp@mail.ru | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.


დღის მთავარი თემა 4 5

**რა წინადადებებს სთავაზობენ საკონსტიტუციო კომისიასა და საზოგადოებას ცნობილი კონსტიტუციონალისტები ვახტანგ ხმალაძე და ზურაბ ჯიბღაშვილი?**

## რუსეთს საქართველოს სარჩელის მოგება სურს



6



**დემურ გიორხელიძე:** ხელისუფლებას ტურიზმის განვითარების სტრატეგია გათვლილი არა აქვს 3

11 **რატომ უსმენდნენ ზარანდიას სატელეფონო საუბრებს?**



2 **იგორ იურგენსი:** 2008 წლის აგვისტოს აგრესიაზე პასუხისმგებლობას ქართული მხრიდან მხოლოდ მარგინალური ოპოზიციური ძალები იღებენ, ეს კი საკმარისი არ არის

**ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვებს ქუჩაში ყრიან** 13

**„პუტინი ლუკაშენკოს მკვლელობას ამზადებს?“** 14



**თხუთმეტი ქართველი მეზღვაური ისევ ტყვეობაშია** 9

**პოლიტიკოსებო, ისწავლეთ ისტორია!** 10

12 **რუსები შავ ზღვაში ნავთობსა და გაზს ეძებენ**

SIC!

# იგორ იურგენსი: 2008 წლის აგვისტოს აგრესიაზე პასუხისმგებლობას ქართული მხრიდან მხოლოდ მარგინალური ოპოზიციური ძალები იღებენ, ეს კი საკმარისი არ არის

**ნატო-რუსეთის თანამშრომლობის ფარგლებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებზე მოლაპარაკებების სავარაუდო ასპექტების გარკვევას „ინტერპრესნიუსი“ თანამედროვე განვითარების ინსტიტუტის ხელმძღვანელ იგორ იურგენსთან შეეცადა.**



**— ბატონო იგორ, გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში თქვენ გამოთქვით მოსაზრება, რომ შესაძლოა, რუსეთმა და ნატომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში მოილაპარაკონ. შეგვხმიანეთ, რათა დაგვეზუსტებინა — რა გაძლევთ საფუძველს ივარაუდოთ, რომ რუსეთი და ნატო, შესაძლოა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში მოილაპარაკებენ?**

— ამ ბლოკის საკითხებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, იმ საკითხებს შორის, რომელიც ევროატლანტიკური უსაფრთხოების ფარგლებში რუსეთმა და ნატომ უნდა გადაწყვიტონ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხი, სავარაუდოდ № 25-ა.

ამიტომ, თუ ჩვენ უფრო მასშტაბურ საკითხებზე ვთანხმდებით, შეგვიძლია ამ პრობლემებთან დაკავშირებითაც ვიპოვოთ გადაწყვეტილება.

**— ა.წ. 22 ივნისს „ინტერპრესნიუსთან“ ინტერვიუში თქვენ ბრძანეთ — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით „უნდა მოიძებნოს ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ზედაპირზე არ დევს.“ ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თქვენ ამ საკითხებზე უკვე გარკვეული მონახაზები შემუშავებული გაქვთ?**

— მე არა მაქვს. მე და თანამედროვე განვითარების ინსტიტუტი დაკავებული ვიყავით უფრო მასშტაბური, ჩვენი უსაფრთხოების საკითხებზე მუშაობით. მესმის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემები მნიშვნელოვანი საკითხებია, მათზე ბევრი ადამიანის ბედია დამოკიდებული. ამიტომაცაა, რომ ჩვენ ამ პრობლემასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზს დროდადრო ვუბრუნდებით ხოლმე. მაგრამ, ამ ეტაპზე მე ამ საკითხებზე მეინსტრიმის რომელიმე წარმომადგენლისაგან არავითარი ახალი იდეების შესახებ არაფერი მსმენია.

რასაც მე გავეცანი, პრეზიდენტ სააკაშვილის რიტორიკა ოდნავ შეცვლილია. ამას პასუხად მოჰყვა მოსკოვსა და თბილისს შორის საჰაერო მიმოსვლის აღდგენა. არ შემიძლია ვივარაუდო, თუ რა



შეიძლება მოჰყვეს ამ პატარ-პატარა ნაბიჯების ესკალაციას. თუ ეს პროცესი გაგრძელდა, მაშინ შეიძლება ვისაუბროთ უკეთესი პერსპექტივების შესაძლებლობაზე. მაგრამ, თუ კვლავ ადგილი ექნა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა ქუთაისში ძეგლის აფეთქება, რაც გარდა იმისა რომ საწყენია, რუსეთის მხრიდან პოზიტიურ და დადებით ნაბიჯებს არ უნდა ველოდოთ. ჯერჯერობით, ზედაპირზე არსებული იდეები არ მიპოვნია, ისე კი, მე ძებნას განვაგრძობ.

**— თქვენი აზრით, ნატო დათანხმდება საქართველოს დანაწევრებას?**

— მე ახლა მიჭირს იმის თქმა, რაზე დათანხმდება ნატო და რაზე არა. თუ ნატო სერბეთის გაყოფისა და კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას დათანხმდა, ამ საკითხებშიც რატომ არ შეიძლება დათანხმდეს? თუ ნატო და რუსეთი სტრატეგიული პარტნიორები იქნებიან ისეთ საკითხებში როგორიცაა ავღანეთი, ირანი, გაფართოებული ახლო აღმოსავლეთი, ერთობლივი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა, არ ვიცი, იქნება კი იმის საჭიროება, რომ იგი რამეზე დათანხმდეს თუ არა. ამ თემაზე საუბრისას მე მრავალწერტილს დავსვამდი.

— „ინტერპრესნიუსთან“ იმავე ინტერვიუში თქვენ აღნიშნეთ, რომ „რუსეთი საქართველოს მიმართ ხშირად არასწორად და მკაცრად იქცეოდა, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, თქვენც აიღეთ რამეზე პასუხიმგებლობაო.“ მაშინ საუბრისას ჩვენ ცოტა ვიკამათეთ კიდეც. უნდა ვაღიარო, ვითარება ოსტატურად თქვენვე განმუხტეთ, მე კი გამომრჩა მეკითხა და ახლა გეკითხებით — რაზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა ქართულმა მხარემ?

**— 2008 წლის აგვისტოს მოვლენებზე, მე რაღაც არ მსმენია, რომ საქართველოს ეღიარებინა მის მიერ განხორციელებული აგრესია.**

— ქართული მხარე მიიჩნევს და საერთაშორისო თანამეგობრობაც თვლის, რომ 2008 წლის აგვისტოში აგრესია საქართველოზე რუსეთმა განახორციელა...

— ეს თქვენი მოსაზრებაა. მე კი ვფიქრობ, რომ 2008 წლის აგვისტოში ქართველებმა აგრესია განახორციელეს და 17 რუსი მშვიდობისმყოფელი მოკლეს.

**— ბატონო იგორ, ტალიავინის კომისიის დასკვნაში აღნიშნულია, - მართალია, სასხვათაშორისოდაა ნათქვამი, რომ საომარი მოქმედებებისას 2 ქართველი სამშვიდობო ძალების ჯარისკაცი დაიღუპა. სხვათა შორის, რონალდ რასმუსის წიგნში, „პატარა ომი, რომელმაც შეძრა მსოფლიო“, აღნიშნულია, რომ ომის პირველი მსხვერპლი სწორედ ქართველი ცისფერჩაფხუტიანები იყვნენ...**

— პირველად მესმის. სად იყვნენ იქ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ აღიარებული ქართველი ცისფერჩაფხუტიანები. აგრესიაზე პასუხისმგებლობა ქართულ ხელისუფლებას არც ერთ დონეზე არ უღიარებია. 2008 წლის აგვისტოს აგრესიაზე ქართული მხრიდან პასუხისმგებლობას მხოლოდ მარგინალური ოპოზიციური ძალები იღებენ, ეს კი საკმარისი არაა.

შეიძლება პასუხისმგებლობის მქონე პირად ჩაითვალოს სახელმწიფო მინისტრი იაკობაშვილი, რომელიც 2008 წლის ივლისში ჩემს კაბინეტში მიმტკიცებდა, რომ პროცესები სამხრეთ ოსეთში მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით განვითარდებოდა? საქართველოს ხელისუფლებიდან ვინმემ უნდა აღიაროს, რომ რუსი მშვიდობიმყოფელების მკვლელობა და ცხინვალის დაბომბვა აგრესიის აქტი იყო.

**— ბატონო იგორ, ყველაფერი გასაგებია, ინტერვიუსთვის დიდი მადლობა.**

კობა ბენდელიანი

**P.S. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ინტერვიუს ჩაწერისას ბატონი იგორ იურგენსი რამდენჯერმე გაგვიბრაზდა. რესპონდენტის უჩვეულო გაცხარება-გაბრაზების გამო საუბრის დასრულება ვამჯობინეთ. სამწუხაროდ, მრავალი პასუხგაუცემელი კითხვა დაგვრჩა, კერძოდ, მოსკოვი კვლაც რეაქციის გარეშე დატოვებს თუ არა პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებას კრემლთან დიალოგის ყოველგვარი წინაპირობების დაწყების შესახებ, ანდა, რა მოხდება მედვედევ-პუტინს შორის - 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, სავარაუდოდ, რომელი მათგანი იყრის კენჭს. რამდენად შეესაბამება სინამდვილეს რუსული პრესის მტკიცება, რომ მედვედევის თანამებრძოლი ბატონი იგორ იურგენსი პუტინის გუნდში გადაბარგდა და ა.შ.**

**ძალიან ვწუხვართ, რომ ბატონი იურგენსი გაგვიბრაზდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენ რუსეთთან მიმართებაში რეალურად არსებული კითხვების დასმაზე უარს ვერ ვიტყვით.**

კ. ბ.

ინფორმაცია

## პრეზიდენტმა წლის საუკეთესო მოსწავლე მოინახულა

**საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩაზე ტაბიძეების ოჯახს ესტუმრა, სადაც წლის საუკეთესო მოსწავლე - 18 წლის ცოტნე ტაბიძე მოინახულა.**

**პრეზიდენტმა სააკაშვილმა მე-12 კლასელ ცოტნე ტაბიძეს წარმატებები მიულოცა და სახელმწიფოს მხრიდან სრული თანადგომა აღუთქვა.**

**ცოტნე ტაბიძემ წელს კანადაში ინფორმატიკაში გამართულ მსოფლიო კონკურსში ოქროს მედალი მოიპოვა ( ამის შესახებ წლევანდელი 8 სექტემბრის ნომერში ვრცლად წერდა ჩვენი გაზეთი — „სრ“ რედაქცია). მსგავსი შედეგი საქართველოში ჯერ არც ერთ მოსწავლეს არ ჰქონია. აღსანიშნავია, რომ მან გასულ წელს ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი აიღო, ასევე ტაბიძეს ინფორმატიკის, ფიზიკის და მათემატიკის საერთაშორისო შეჯიბრებებში არაერთი ოქროს მედალი აქვს მოპოვებული.**

**ამასთან, კანადაში ინფორმატიკაში გამართულ მსოფლიო კონკურსში გამარჯვებისთვის განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ცოტნე ტაბიძეს ჯილდოდ 5000 ლარი გადასცა.**

## ქუთაისში კადეტთა კორპუსი გაიხსნა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქუთაისში კადეტთა კორპუსი გახსნა.**

**აღსანიშნავია, რომ სწორედ პრეზიდენტის ინიციატივით მოხდა კადეტთა კორპუსის აღდგენა, სადაც მე-9 მე-10 კლასის მოსწავლეებს საშუალება მიეცემათ ზოგად განათლებასთან ერთად სამხედრო სწავლებაც გაიარონ.**

**მიმდინარე წელს ქუთაისში 300 კადეტის მომზადება მოხდება, რომლებიც სამწლიანი კურსის შემდეგ საშუალო განათლების ატესტატთან ერთად სამხედრო კურსის გავლასთან დაკავშირებით სერთიფიკატებს მიიღებენ.**

**სწავლის პერიოდში მოზარდები უზრუნველყოფილები იქნებიან საცხოვრებელი პირობებით, კვებით, სრული სამედიცინო მომსახურებით.**

**ამასთან, სწავლის დასრულების შემდეგ კადეტებს სრული თავისუფლება ექნებათ პროფესიის არჩევაში.**

**უახლოეს მომავალში კადეტთა კორპუსის გახსნა თბილისშიც იგეგმება.**

ჯი-ეიჩ-ენი

ახალი კანონპროექტი

# ვინ შეაჩერებს ფასების ზრდას?

**შალვა ნათელაშვილმა პარლამენტში განსახილველად ახალი კანონპროექტი შეიტანა, რომელიც სამომხმარებლო კალათაში შემავალ პროდუქტებზე ზღვრული ფასების დაწესებას ეხება.**

ლეიბორისტების ლიდერს სჯერა, რომ დამტკიცების შემთხვევაში, კანონი მოსახლეობას დაიცავს საკვებ პროდუქტებზე ფასების ხელოვნური ზრდისგან, ასევე, ხელისუფლების მიერ მრავალი სპეკულაციისა და მაქინაციისგან.

ნათელაშვილის თქმით, გაეროს სასურსათო სამსახურების მიერ დადგენილ ფასებს სასურსათო კალათაში შემავალ პროდუქტებზე საქართველოს მთავრობაც იზიარებს. ყოველთვიურად სპეციალური სამსახურის მიერ განსაზღვრული ეს ფასები, მინიმალური მოგების პროცენტის გათვალისწინებით, სამომხმარებლო ბაზარზე გადაიგზავნება.

შალვა ნათელაშვილმა, ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ფასების ზრდის მიზეზებზეც გაამახვილა ყურადღება. მან სააკაშვილი და მისი გუნდი მაფიოზურ ზრახვებში დაადანაშაულა, რომ ფასების ზრდა გვალვებისა და არახელსაყრელი ბუნებრივი პირობების ბრალი კი არ არის, არამედ სწორედ ხელისუფლებისა.

ნათელაშვილმა დაასახელა თავდაცვის ყოფილი მინისტრი დავით კეზერაშვილი, გივი თარგამაძე, სანდრა რულოვსი, არჩილ გეგენავა... ესენი მთლიანად აკონტროლებენ საკვები პროდუქტების იმპორტსაც და ადგილობრივ წარმოებასაც, შესაბამისად, ბაზარზე მონოპოლისტები არიან და ფასებსაც საკუთარი სურვილისამებრ აწესებენო.

ბუნებრივია, ნათელაშვილს ახალი არაფერი უთქვამს. საზოგადოებამ იცის, რომ მავანის ბიზნესინტერესების გამო ხელოვნურად ფერხდება ადგილობრივი წარმოების განვითარება. მაგალითისთვის იკმარებს საქართველოს ბელლად წოდებული შირაქის ველის გაუდაბურება, სადაც შეგვიძლია ჩვენი ქვეყნისთვის სრულიად სამყოფი ხორბლის მოყვანა. მაგრამ ტურიზმისა და ინგლისურის ეიფორიით შეპყრობილ ხელისუფალთათვის არაფერს ნიშნავს არც შირაქის უდაბნოდ ქცევა და არც მევენახის თავდაუზოგავი შრომა კაპიკების სანაცვლოდ. მთავარია, მათი ბიზნესი არ დაიბლოკოს და შემოსავალი ჰქონდეთ — ფასები თუ ავარდება, ხალხი იზარალებს, რომელიც მათ სრულებით არ ანაღვლებთ.

სხვათა შორის, ისიც უნდა ითქვას, რომ ფასების ზრდა, გარკვეულწილად, გარევაჭრობის აკრძალვამაც განაპირობა. ზამთარი გვიახლოვდება, ფასები კი მატულობს. არა მგონია, დამტკიცების შემთხვევაშიც კი (რაც არსებული ვითარების ფონზე არარეალურად გამოიყურება) ეს დილემა, ლეიბორისტების კანონპროექტმა შეაჩეროს.



ნატა ნიბლაძე

№ 171. სამშაბათი, 14 სექტემბერი, 2010 წელი.

პრობლემა

# ხელისუფლებას ტურიზმის განვითარების სტრატეგია გათვლილი არა აქვს



***ტურიზმის განვითარებისთვის ხელისუფლების მიერ გადადგმულ ნაბიჯებზე და ამ სფეროს განვითარების პრობლემებზე, ასევე ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებაზე და იმაზე, მართლაც დგას თუ არა ქვეყანა სოციალური კატასტროფის წინაშე და რამდენად რეალურია სოციალური მოტივით საპროტესტო აქციების დაწყების ალბათობა, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში დემურ გიორხელიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო დემურ, როგორ შეაფასებდით ხელისუფლების მიერ ტურიზმის განვითარებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს? ამ მიმართულებით მართლაც ბევრი კეთდება, ბათუმი, მესტია, ანაკლია, მცხეთა...**

— თავისთავად, ტურიზმი, როგორც ეკონომიკის ერთ-ერთი სექტორი და მისი განვითარებისთვის ხელისუფლების მხრიდან გარკვეული ძალისხმევა, სულაც არ არის ცუდი. პირიქით, ტურიზმი უნდა იყოს ერთ-ერთი კარგად განვითარებული და შემოსავლების მომცემი სფერო. ამასთან, ტურიზმი არ არის მხოლოდ სასტუმროები, ეს არის მთელი ინფრასტრუქტურა, მათი მომსახურება, იგივე აგრარული სექტორი და ასე შემდეგ. მაგრამ, ერთადერთი საწინააღმდეგო, რაზეც მე არა ერთხელ გამიმახვილებია ყურადღება, არის შემდეგი: **საქართველოსთვის ტურიზმზე ორიენტაცია და მტკიცება, რომ ქვეყნის მომავალი ტურიზმს უკავშირდება, აბსოლუტურად მცდარი და მიუღებელია.** ასეა თუნდაც იმიტომ, რომ 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია ქვეყნის ეკონომიკა დამოკიდებული იყოს მხოლოდ ტურიზმზე. ეს შეცდომაა და ჩვენთვის ძალიან ცუდი შედეგების მომტანია.

მსოფლიო ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს ვნახეთ, რომ ისეთი უძლავრესი ტურისტული ქვეყნები, რომელთაც ჩვენ კონკურენციას ვერასდროს ვერ გაუწევთ – საბერძნეთი და ესპანეთი, პრაქტიკულად კრახის წინაშე აღმოჩდნენ და, რომ არა საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების დახმარება, მათი მდგომარეობა, უბრალოდ, კატასტროფული იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს ქვეყნები გაკოტრდებოდნენ. ჩვენ მათთან შედარებით კიდევ უფრო სუსტი და პატარა ქვეყანა ვართ და ამიტომ აქცენტის გაკეთება ისეთ არამყარ სფეროზე, როგორც ტურიზმია, არ შეიძლება. თუმცა, არავინ არის წინააღმდეგი, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა მაღალი დონის გვქონდეს და საქართველოში ბევრი ტურისტი ჩამოვიდეს.

მთავარი, რაც ხელისუფლების მხრიდან ტურიზმთან დაკავშირებით არ მსმენია, ეს არის ის, თუ ჩვენ საქართველოში რა ტიპის ტურიზმის განვითარებაზე ვსაუბრობთ. საქართველო უნდა იყოს მასობრივი, ელიტურლი ტურიზმის ქვეყანა, თუ ჩვენ რაიმე სპეციფიური მიმართულების ტურიზმი უნდა განვავითაროთ და ამ სფეროში ამით გავხდეთ კონკურენტუნარიანი. თუ ჩვენ ისეთი ტურიზმი გვინდა, ოღონ კი ვინმე მოვიდეს და ფული დახარჯოს, ასეთ ვითარებაში საქართველო კონკურენტუნარიანი ვერ იქნება.

**— რამდენად ეფექტიანი აღმოჩნდება ხელისუფლების ინიციატივა შავიზღისპირეთში სასტუმროების მშენებლობის მსურველთათვის მიწის უფასოდ გადაცემა, 10-15 წლით გადასახადებისგან გათავისუფლება და სხვა შეღავათები, რაზეც პრეზიდენტმა ვრცლად ისაუბრა?**

— ინიციატივა მთლად გასაგები არ არის. ინვესტორს, რომელსაც მარტო ერთი სასტუმროს აშენებისთვის მიწა უფასოდ სჭირდება, ძლიერი ინვესტორი არ ჰქვია. ძლიერ ინვესტორებს, ვისაც შავიზღვისპირეთში ან მესტიასა და საქართველოს სხვა მაღალმთიან რეგიონებში სასტუმროების აშენების სურვილი აქვს, ასეთი შეღავათები არ უნდა სჭირდებოდეს. თუ სასტუმროს აშენებისთვის მიწის ყიდვა არ შეგიძლია, ძლიერ ინვესტორად ვერ ჩაითვლება. ჩემი აზრით, ამ სექტორს შეღავათები არ სჭირდება. თუ ყველაფერი ნორმალურად განვითარდა, შავი ზღვის სანაპიროს უამრავი ტურისტი ეწვევა და მას განსაკუთრებული შეღავათები არ სჭირდება. რაკი პრეზიდენტი ასეთ შეთავაზებას აკეთებს, როგორც ჩანს, მან წელს არსებულ შედარებით მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობა გაითვალისწინა. ახლა ქვეყანაში ინვესტორები ძალიან საჭირონი არიან. შესაძლოა, ეს ინიციატივა ინვესტორთა მოზიდვის ხერხიც იყოს, თუმცა არ მგონია, ეს ინიციატივები აუცილებელი იყოს.

**— ტურიზმის განვითარება სოფლის მეურნეობისა და ადგილობრივი მრეწველობის გარეშე, პრაქტიკულად, წარმოუდგენელია. ევროპელ და ამერიკელ ტურისტს ქართული სამზარეულო, უმეტესწილად, გენმოდიფიცირებულ პროდუქტს სთავაზობს. თქვენი აზრით, რატომ არ ექცევა ყურადღება ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის შექმნას, რაც, თავის მხრივ, ტურისტთა მოზიდვის საშუალება შეიძლება ყოფილიყო?**

— ეს მიუთითებს, რომ ხელისუფლებას ტურიზის განვითარების სტრატეგია გათვლილი არა აქვს. თუ ტურიზმს ავითარებ, რაღაცით გამორჩეული და კონკურენტუნარიანი უნდა იყო. ჩვენთან რომ ფასებია არანორმალური, ფაქტია. და ეს მაშინ, როცა იგივე თურქეთისა და ბულგარეთის სანაპიროზე ძლიერი კურორტებია. თუ ჩვენ საქართველოში ჩამოსულ ტურისტს ჰამბურგერებით და ჩისბურგერებით გავუმასპინძლდით, სრულიად გასაგებია, რომ ამ საკვების მისაღებად ტურისტი აქ არ ჩამოვა. ეს მაშინ, როცა, ჩვენ გვაქვს უნიკალური სამზარეულო, უნიკალური აგროსექტორი, რომელიც საერთოდ მივიწყებულია და სახელმწიფოსა და ხელისუფლებას აგრარული სექტორის მიმართ პოლიტიკა არც კი გააჩნია. განვითარებული სოფლის მეურნეობა და ადგილობრივი მრეწველობა ტურისტულ სექტორს სულ სხვა ელფერს შესძენდა. სამწუხაროა, რომ აგრარული სექტორისა და ეკოლოგიური სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელისუფლების დონეზე ყურადღება არ ექცევა. ტურიზმის განვითარებისას ჩვენ აქცენტს ისეთ რამეზე ვაკეთებთ, რაშიც თუნდაც კარიბის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებს ვერასდროს გავეჯიბრებით.

**— როგორ შეაფასებდით ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას? ამბობენ, რომ ინფლაცია 9%-ზე მეტია...**

— ეკონომიკური მდგომარეობა არ არის მარტივი და ამას ყველა თვალნათლივ ხედავს. შესაძლოა, ინფლაციის დონეზე იყოს დავა, მაგრამ უდავოა, რომ ორი-სამი წელია, ფასების ზრდის ტენდენცია საკმაოდ მყარია. ახლა ეს პროცესი საშიშ ზღვარს აღწევს. საშიშ ზღვარს აღწევს იმ თვალსაზრისით, რომ მოქალაქეების შემოსავლები და დასაქმების მაჩვენებელი არ იზრდება.

**— თქვენი შეფასებით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს მტკიცება, თითქოს ქვეყანა სოციალური კატასტროფის წინაშე დგას და რამდენად რეალურია სოციალური მოტივით საპროტესტო აქციების დაწყების ალბათობა?**

— არა მგონია ქვეყანა სოციალური კატასტროფის წინაშე იდგეს, მაგრამ მარტივი სიტუაცია რომ არ არის, ცხადია. ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლები მიეჩვივნენ იმას, რაც მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ ახასიათებს. მიუხედავად ცუდი საარსებო პირობებისა, ჩვენი მოქალაქეები სოციალურ საკითხებზე მახვილს არ აკეთებდნენ. ეს მოქალაქეების უდიდესი შეცდომაა და ალბათ ეს მუდმივად არ გაგრძელდება. სოციალური საკითხები ფუნდამენტური, სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებია. იმ მხრივ, რომ ჩვენი მოქალაქეები ამაზე ყურადღებას არ ამახვილებენ, საქართველო გამონაკლისია. ნათელია, რომ სრულიად გაუგებარი ორიენტაციის „კოლექტიურ მოქალაქეებთან“ გვაქვს საქმე. მოქალაქეები სრულიად არ აქცევენ ყურადღებას იმას, რაც მათთვის მნიშვნელოვანია და მათი ყურადღება პოლიტიკოსთა სიმპატია-ანტიპატიაზე გადადის. ადრე თუ გვიან, საქართველოს ცხოვრებაში სოციალური საკითხები დომინირებულ მდგომარეობას დაიკავებენ, როგორც ეს მსოფლიოს ყველა ნორმალურ ქვეყანაშია. ნელ-ნელა მოქალაქეები მიეჩვევიან, რომ ხელისუფლებას მოთხოვონ ის, რაც მათ სიცოცხლეს, ღირსეულ ყოფას და შრომას ეხება. რაკი საზოგადოება ამას არ აკეთებს, ხელისუფლებაც თავს არ იწუხებს და იმას აკეთებს, რასაც საჭიროდ თვლის. ადრე თუ გვიან ეს ვითარება შეიცვლება. არ ვფიქრობ, რომ სოციალური მოთხოვნები ახლა მასობრივი გახდება. ამ მხრივ ჩვენი მოქალაქეების კონდიცია ძალიან დაბალია. მოქალაქეები გაუგებრად და თავისი თავის საზიანოდ იქცევიან, მაგრამ დადგება დრო, როცა მოქალაქეები სოციალური მოთხოვნებით აუცილებლად გააქტიურდებიან, მაგრამ ეს ამ შემოდგომაზე არ იქნება.

თუ რომელიმე პოლიტიკური ძალა გონივრულ ნაბიჯს გადადგამს, სოციალურ თემატიკას წინ წამოსწევს და ეს იქნება თანამიმდევრული და პოლიტიკის რანგში აყვანილი, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებშია, ეს ცუდი კი არა, პირიქით, კარგიც იქნება.

**კობა ბენდელიანი**

ვინ — ვის?

# „თუ ხელისუფლება დანაპირებს არ შეასრულებს, ეს უარყოფითად იმოქმედებს ნაციონალების პრესტიჟზე“



***არასაპარლამენტო ოპოზიციის ნაწილმა „ახალი მემარჯვენეები“ გააკრიტიკა იმის გამო, რომ საკონსტიტუციო პროექტის განხილვის პროცესში ჩაერთვნენ, და ეს ნაბიჯი „სააკაშვილის ხელისუფლების გახანგრძლივების გაპრავებად“ შეაფასეს.***

***მათ უკვე უპასუხა „ახლების“ ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ. მისი განცხადებით, თუ ქვეყნის მთავარი სტრატეგიული კანონის განხილვას ემიჯნები, მაშინ იქვე უნდა აღნიშნო, რას აკეთებ მომავალში ამის სანაცვლოდ: „ვფიქრობ, პასუხისმგებლობის მქონე ყველა ძალა, რომელიც ხელისუფლების შეცვლის ერთადერთ გზად არჩევნებს განიხილავს, არც საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესს უნდა ემიჯნებოდეს“, — განაცხადა კაციტაძემ. მისი თქმით, „მემარჯვენეებმა“ კონსტიტუციის ახალი პროექტის განხილვის პროცესში ჩართვის გადაწყვეტილება დამოუკიდებლად მიიღეს.***

***ამ საკითხზე სასაუბროდ დავუკავშირდით „მემარჯვენეების“ ერთ-ერთ ლიდერს, ქალბატონ მანანა ნაჭყებიას.***

— სიმართლე გითხრათ, გაუგებარი საყვედურია, პოლიტიკური პარტია იმისთვის არსებობს, რომ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობდეს. კონსტიტუციურ ცვლილებებზე უფრო მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროცესი კი არ მეგულება.

ამიტომ აუცილებელი იყო, საფუძვლიანად შეგვესწავლა ხელისუფლებისგან შემოთავაზებული ცვლილებები და შემდეგ ფართო საზოგადოებისთვის გვემცნო ამის თაობაზე.

დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ არა ჩვენი შეხვედრები სახელმწიფო საკონსტიტუციო და შემდეგ, საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიებთან, სტუდენტთა კომისიასთან, და რაც ყველაზე არსებითია — კონსტიტუციის პროექტის სახალხო განხილვის კომისიასთან, რომელსაც დავით ბაქრაძე ხელმძღვანელობს, ზოგადად, მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის გაუგებარი დარჩებოდა, რა ცვლილებებს გვთავაზობს ხელისუფლება.

ჩვენი შეხვედრების ის ორი დღე, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო განხილვის პროცესში. იმ დღეს სწორედ ჩვენგან მოისმინა საზოგადოებამ ყველაზე არგუმენტირებული და საფუძვლიანი შენიშვნები, და სწორედ იმ დღეს აღიარა ხელისუფლებამ დავით ბაქრაძის ენა-პირით, რომ ამ შენიშვნებისა და არგუმენტების ნაწილს ისინი გაიზიარებენ.

**— დარწმუნებული ხართ, რომ ხელისუფლება მართლა გაიზიარებს თქვენს შენიშვნებს?**

— ყოველ შემთხვევაში, დაპირება ასეთი იყო. თუ არ გაიზიარებენ, ეს უარყოფითად იმოქმედებს მის პრესტიჟზე.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, ყველაზე არსებითი შენიშვნა რომელია?**

— არსებითად მიმაჩნია ის, რომ ახალი კონსტიტუციით არ არის უზრუნველყოფილი ხელისუფლების შტოთა ბალანსი. ძლიერი, განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი პრეზიდენტის ნაცვლად, ამ მოდელით ვღებულობთ, ასევე, ძლიერი და განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილ პრემიერ-მინისტრს, რომელსაც ვერ აბალანსებს პარლამენტი. მას შეუძლია ისე დანიშნოს და დაითხოვოს მთავრობა, რომ არც არავის შეუთანხმოს ამის შესახებ და არც არგუმენტები წარმოადგინოს.

არსებითი ეს გახლავთ, თუმცა გვქონდა რამდენიმე ძირეული შენიშვნები: ორგანული კანონის გაუქმება, საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა, კერძო საკუთრების გარანტიები.

**— და თქვენი ზემოხსენებული შენიშვნის პასუხად რა იყო მათი არგუმენტი?**

— მათი არგუმენტია ის, რომ ეს დღეს არსებული მოდელისგან თვისობრივად განსხვავებული მოდელია. იმ ნაკლს, რომ ხელისუფლების შტოებს შორის ბალანსი არ არის, გარკვეულწილად, აბალანსებს ის, რომ გამარჯვებული პოლიტიკური პარტია ქმნის მთავრობას.

თუმცა, ვფიქრობთ, რომ თუ უმცირესობის უფლებები არ იქნა დაცული და მას პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის საშუალება არ მიეცა, თუ პარლამენტის როლი დაკნინდა, როგორც ეს წარმოდგენილ მოდელშია, მაშინ ვერ მიიღწევა საბოლოო მიზანი — ბალანსი ხელისუფლების შტოებს შორის.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი.**

# საქართველოს კონსტიტუციაში შეტანის თაობაზე კონსტიტუციური

## განხილვა

### 1. შესავალი

**2010 წლის 19 ივლისს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიამ დაასრულა მუშაობა პროექტზე „საქართველოს კონსტიტუციური კანონი საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ და იგი გადასცა საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც პროექტი საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტს წარუდგინა. საქართველოს პარლამენტის 21 ივლისის დადგენილებით შეიქმნა საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტის გამოქვეყნებისა და მისი საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისია. პროექტი გამოქვეყნდა საქართველოს საკანონმდებლო მაცნესა და გაზეთ „24 საათში“ და განთავსდა საქართველოს პარლამენტისა და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ვებ-გვერდებზე. ამით ოფიციალურად დაიწყო კონსტიტუციური კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა.**




**წინამდებარე ნაშრომის მიზანია საზოგადოებას წარუდგინოს ამ პროექტის ანალიზი და შეფასება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, პასუხი გაეცეს კითხვას: რამდენად შეესაბამება კანონპროექტი ქვეყნის ინტერესებსა და საზოგადოების მოთხოვნებს, რომლებიც ზოგადი სახით ჩამოყალიბებულია სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულებაში?**

ამ დებულების მე-2 მუხლის თანახმად:

„1. კომისიის ძირითადი ამოცანებია ქვეყნის თანამედროვე, მდგრადი და სტაბილური განვითარების, სამართლის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის ცივილური ურთიერთობების უზრუნველყოფისათვის შესაბამისი შინაარსის კონსტიტუციური კანონის პროექტის მომზადება.

2. კონსტიტუციის გადასინჯვის ფარგლებში მოიაზრება სახელმწიფოს ბოჭვა ძირითადი უფლებებით, სახელისუფლებო განშტოებათა ეფექტიანი, გაწონასწორებული სისტემა და კონსტიტუციის სხვა დებულებათა ახლებური ხედვა“.*

ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ წარმოდგენილი კანონპროექტი, ჩვენი აზრით, არ იძლევა ამ ამოცანების გადაჭრის შესაძლებლობას. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლავთ, რომ უგულებელყოფილია კონსტიტუციონალიზმის იდეის უმთავრესი პრინციპი: სახელმწიფო ხელისუფლების კონსტიტუციური ინსტიტუტების თანამშრომლობის, ურთიერთკონტროლისა და ურთიერთშეკავების საშუალებები იმდენად მგრძნობიარე და ქმედითი უნდა იყოს, რომ ხელისუფლების არც ერთ განშტოებას არ მიეცეს დომინანტური მდგომარეობის დაკავებისა და, შესაბამისად, პოლიტიკური ძალმომრეობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, მცირდება საპარლამენტო ოპოზიციის უფლებები, არ უმჯობესდება საარჩევნო სისტემა, არ იქმნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს არსებობის გარანტიები, არ ფართოვდება ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სოციალური გარანტიები და სხვ. კვლავ განუსაზღვრელი რჩება სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობა და ადგილობრივი თვითმმართველობის სისტემა.

წარმოდგენილ ანალიზსა და შეფასებას საფუძვლად დაედო ავტორთა მონაწილეობით შექმნილ ნაშრომში** აღწერილი კრიტერიუმები.

### 2. კონსტიტუციური კანონის პროექტის ანალიზი და შეფასება

**2.1. პრეამბულა** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 1)

პრეამბულა ფაქტობრივად არ შეცვლილა, მხოლოდ მესამე პირის ნაცვლად ტექსტი პირველ პირში დაიწერა, მაგრამ გაოცებას იწვევს მისი კონსტრუქცია: „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი, ... **ღვთისა და ერის წინაშე** საქვეყნოდ ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“. გამოდის, რომ ან „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი“, ანუ ქართველი ერი, კონსტიტუციას ვუცხადებთ საკუთარ თავს, ან არა ვართ ერი და კონსტიტუციას ვაცხადებთ რომელიღაც ერის წინაშე – ერთიც და მეორეც არასწორია. გარდა ამისა, ნუ დაგვავიწყდება, რომ კონსტიტუციის პრეამბულა არ არის ფიცი და რომ ყველა ჩვენი მოქალაქე არ გახლავთ მორწმუნე, კონსტიტუცია კი ყველასია. სწორედ ამიტომ, პრეამბულიდან ამოსაღებია ხაზგასმული სიტყვები, რომლებიც, უნდა აღინიშნოს, არც სხვა ქვეყნების კონსტიტუციებში გვხვდება.

**2.2. ორგანული კანონი** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 3 და 14)

პროექტით გათვალისწინებულია ორგანული კანონის, როგორც კატეგორიის, გაუქმება, რაც აბსოლუტურად მიუღებლად მიგვაჩნია. საქმე ის გახლავთ, რომ არსებობს კანონები, რომელთა მიღებისას თუ შეცვლისას საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილე და პარლამენტში შეთანხმების მაღალი ხარისხი, რაც მიიღწევა გადაწყვეტილების მისაღებად დადგენილი მაღალი კვორუმით. მაღალი კვორუმი უზრუნველყოფს ამ კანონების შედარებით მეტ სტაბილურობასაც. ასეთ კანონებს მიეკუთვნება კანონები, რომლებიც ადგენს არაპოლიტიკური კონსტიტუციური ინსტიტუტების სტატუსს (სასამართლო, ეროვნული ბანკი, ადგილობრივი თვითმმართველობა, პოლიტიკური პარტიები, სახალხო დამცველი), ანდა ეხება პოლიტიკური თვალსაზრისით განსაკუთრებით „მგრძნობიარე“ საკითხებს (არჩევნები, რეფერენდუმი, იმპიჩმენტი, მოქალაქეობა, საკუთრების უფლების შეზღუდვა). საქართველოში ამჟამად თხუთმეტამდე ასეთი კანონია.

ორგანული კანონის კატეგორიის გაუქმებით იკარგება საპარლამენტო უმრავლესობისა და ოპოზიციის თანამშრომლობის სტიმული, რაც ხელს შეუწყობს უმრავლესობის მიერ ოპოზიციის აზრის გაუთვალისწინებლობას (მით უფრო, ასეთი თანამშრომლობის აუცილებლობის ტრადიციის არარსებობის პირობებში), ეს კი პოლიტიკური კრიზისის გამომწვევი ერთ-ერთი წინაპირობაა. გარდა ამისა, შემცირდება კანონის სტაბილურობის ხარისხი,*** რაც სახიფათოა ასეთი კანონით მოწესრიგებული სისტემის მდგრადობისათვის.

**2.3. ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 4 – 7)

კონსტიტუციის ამ ნაწილში ცვლილება შეეხო მხოლოდ 21-ე, 29-ე და 42-ე მუხლებს და დაემატა ერთი ახალი მუხლი – 34$^{1}$.

● **საკუთრების უფლება** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 4). კონსტიტუციის 21-ე მუხლის ახალი რედაქცია ასე გამოიყურება:

**მუხლი 21**

1. საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და ხელშეუვალია. დაუშვებელია საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება.

2. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია პირველ პუნქტში აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით, იმგვარად, რომ არ დაირღვეს საკუთრების უფლების არსი.

3. აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“.

ეს მუხლი შინაარსობრივად გაუმჯობესდა – გაძლიერდა საკუთრების უფლების დაცვის ხარისხი, თუმცა ორგანული კანონის კატეგორიის გაუქმება გამოიწვევს „გადაუდებელი აუცილებლობის“ შემთხვევების განსაზღვრის გამარტივებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ასეთი შემთხვევების ჩამონათვალის გაფართოება, რაც ფრიად არასასურველი იქნება.

**რამდენიმე შენიშვნა ამ მუხლის მე-3 პუნქტის გამო:** საკუთრების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე უნდა შეიძლებოდეს მხოლოდ სრულიად განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დრო არ ითმენს და სხვაგვარად შეუძლებელია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების დაკმაყოფილება. ამიტომ სასურველია, რომ სიტყვა „გადაუდებელი“ შეიცვალოს ტერმინით „უკიდურესი“, რომელიც უფრო მკაცრი და ზუსტია. გარდა ამისა, ცხადია, რომ ამ შემთხვევაში წინასწარი ანაზღაურება შეიძლება შეუძლებელი აღმოჩნდეს. ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასურველია აღინიშნოს, რომ იგი არ უნდა იყოს ჩამორთმეული საკუთრების საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები. ასევე სასურველია განისაზღვროს, რომ ანაზღაურება არ მიიჩნევა შემოსავლად, ვინაიდან შემოსავლის ოდენობა, თუნდაც იგი განთავისუფლებული იყოს გადასახადისა და მოსაკრებლისაგან, განსაზღვრავს პირის გარკვეულ საგადასახადო ვალდებულებათა წარმოქმნას.

თანამდებობის დაკავების შეზღუდვა (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 5). კონსტიტუციის 29-ე$_{1}$ მუხლს ემატება ახალი პუნქტი:

„1$^{1}$. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს იმ მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად არის უცხო ქვეყნის მოქალაქე“.

გასაგებია და გამართლებულად მიგვაჩნია ასეთი შეზღუდვის შემოღება, ვინაიდან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა მიმღებ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს შესაძლებელია გაუჩნდეს ინტერესთა კონფლიქტი. მაგრამ გაუგებარია, რატომ არ არიან ამ ჩამონათვალში მინისტრები, პარლამენტის წევრები, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მოსამართლეები? მიგვაჩნია, რომ უცხო ქვეყნის ინტერესების შესაძლო გატარებისაგან დაცვის მიზნით ეს შეზღუდვა ყველა კონსტიტუციურ თანამდებობაზე უნდა გავრცელდეს.

**ფიზიკური აღზრდა და სპორტი** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 6). კონსტიტუციას ემატება ახალი მუხლი:

**„მუხლი 34$^{1}$**

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სპორტულ გაერთიანებებთან თანამშრომლობით ხელს უწყობს მოზარდთა და ახალგაზრდობის ფიზიკურ აღზრდას, სპორტში მათ ჩართვას“.

მუხლი დეკლარაციული ხასიათისაა და არ განსაზღვრავს სახელმწიფოს ვალდებულების ხარისხს.

● **საჯარო ხელისუფლების ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 7). კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით:

„9. ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან“.

ამ პუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, ზარალის ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან უნდა მოხდეს, მიუხედავად იმისა, რომელი ორგანოს ან მოსამსახურის მოქმედება იყო ამის მიზეზი. ახალი რედაქციის თანახმად კი ზარალის ანაზღაურების ვალდებულება გადანაწილებულია ავტონომიურ და თვითმმართველ ტერიტორიულ ერთეულებზეც.

ახალი წესი გარკვეულ პრობლემებს შექმნის იმ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ტერიტორიული ერთეულის სახსრებიდან კომპენსაციის მიღება გონივრულ ვადაში. მაგალითად, ასეთი სახსრების უქონლობის გამო, ან მაშინ, როდესაც შესაბამისი ერთეულის ხელისუფლება არ ცნობს საქართველოს იურისდიქციას (აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკები). ამიტომ საჭიროა ან აქვე განისაზღვროს, რა ხდება ასეთ შემთხვევებში, ან უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ შემთხვევებში ზარალი ანაზღაურდება სახელმწიფო სახსრებიდან კანონით დადგენილი ოდენობით, წესით და მისი შემდგომი სრული ანაზღაურებით შესაბამისი ერთეულის სახსრებიდან. გარდა ამისა, სასურველია ჩაიწეროს, რომ „ზარალის ანაზღაურება უნდა მოხდეს სასამართლოს მიერ დადგენილ გონივრულ ვადაში“.

**2.4. პარლამენტი** (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 8 – 16)

კონსტიტუციის ამ ნაწილში ცვლილება შეეხო პარლამენტის საკონტროლო ფუნქციებს, იმპიჩმენტის წესს, საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების საკითხის დასმას, რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევას, საკანონმდებლო ინიციატივის უფლებას, კანონთა კატეგორიასა (იხ. წინამდებარე ნაშრომის პუნქტი 2.2) და პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის წესს.

**2.4.1. პარლამენტის საკონტროლო ფუნქციები**

შესავალში აღვნიშნეთ, რომ კონსტიტუციას არაფერი ემატება საპარლამენტო ოპოზიციის უფლებათა გამოკვეთის თვალსაზრისით. არადა, საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში ოპოზიცია მნიშვნელოვან როლს უნდა ასრულებდეს. უფრო მეტიც: კონტროლის ამჟამად არსებული საშუალებებიც კი შესუსტებულია. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ანალიზიდან.

● **საგამოძიებო და სხვა დროებითი კომისიები** (კონსტიტუცია, მუხლი 56, პუნქტი 2). კონსტიტუციის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია ასე გამოიყურება:

„2. კონსტიტუციითა და რეგლამენტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე დეპუტატთა ერთი მეხუთედის**** მოთხოვნით პარლამენტში იქმნება საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიები. გადაწყვეტილება კომისიის შექმნის შესახებ მიიღება პარლამენტის დადგენილებით. საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში არ უნდა აღემატებოდეს კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს“.

ერთი შეხედვით, გამარტივდა საგამოძიებო ან სხვა დროებითი კომისიის შექმნა – მის შესაქმნელად საკმარისია ეს მოითხოვოს დეპუტატთა ერთმა მეხუთედმა და არა სულ ცოტა ერთმა მეოთხედმა (როგორც ეს მოქმედი კონსტიტუციითაა განსაზღვრული), მაგრამ ამ პუნქტის ახალი რედაქციის მეორე წინადადების თანახმად, კომისიის შექმნის გადაწყვეტილება პარლამენტმა უნდა მიიღოს. ამ გადაწყვეტილების მიღება კი საპარლამენტო უმრავლესობაზეა დამოკიდებული. მაშასადამე, თუ უმრავლესობა არ მოისურვებს კომისიის შექმნას, იგი არც შეიქმნება და არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, კომისიის შექმნას მეოთხედი მოითხოვს თუ მეხუთედი.

დროებითი კომისიები, მათ შორის, დროებითი საგამოძიებო კომისია,***** საპარლამენტო კონტროლის განხორციელებისა და ცალკეულ მნიშვნელოვან საკითხთა შესწავლისა და სათანადო გადაწყვეტილებათა მომზადების ქმედითი საშუალებაა. საპარლამენტო კონტროლის განხორციელებაში კი მნიშვნელოვანი როლი ეკისრება საპარლამენტო ოპოზიციას. სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება დროებითი კომისიის კონცეფცია, რომლის არსი ის გახლავთ, რომ მისი შექმნა შეუძლია პარლამენტს (ანუ უმრავლესობას) თავისი გადაწყვეტილებით, მაგრამ, თუ კომისიის შექმნას უმცირესობა მოითხოვს****** (კონსტიტუციით დადგენილი რაოდენობა), იგი აუცილებლად უნდა შეიქმნას.******* ამასთანავე, ორივე შემთხვევაში

---

*** საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ (☐ 348, 23.06,2009).**

**** კ. კანდელაკი, დ. ლოსაბერიძე, ზ. რუხაძე, ი. ტაბუცაძე, ვ. ხმალაძე, ზ. ჯიბლაშვილი. კონსტიტუციური სისტემები და კონსტიტუციური პროცესი საქართველოში (1995 – 2009 წ.წ.), მისი განვითარების პერსპექტივა. ფონდი ‘ღია საზოგადოება-საქართველო“, თბილისი, 2009 წ.**

***** გავითვალისწინოთ, რომ ორგანული კანონის კატეგორიის გაუქმების შემდეგ ყველა კანონი, გარდა კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შემთხვევისა, მიიღება დამსწრეთა უმრავლესობით, მაგრამ სულ ცოტა 50 ხმით (150-წევრიანი პარლამენტის შემთხვევაში).**

****** უნდა ეწეროს „არანაკლებ ერთი მეხუთედის“, ვინაიდან, თუ მოთხოვნის უფლება აქვს ერთ მეხუთედს, მოთხოვნის უფლება მით უფრო უნდა ჰქონდეს ერთ მეხუთედზე მეტს (ავტორების შენიშვნა).**

******* დროებითი საგამოძიებო კომისია იმავდროულად პარლამენტის კვაზი-სასამართლო უფლებამოსილების განხორციელების საშუალებაა.**

******** ასეთი მოთხოვნა უმეტესად ოპოზიციის წარმომადგენლებისაგან მოდის.**

********* პროცედურულად ეს შეიძლება ასე გადაწყდეს: პარლამენტი ცნობად იღებს კომისიის შექმნის მოთხოვნას (ამოწმებს მხოლოდ პირობების სისწორეს) და თავისი გადაწყვეტილებით განსაზღვრავს კომისიის შემადგენლობას, მოქმედების ვადას და რეგლამენტით დადგენილ სხვა საკითხებს.**

განხილვა

# ცვლილებებისა და დამატებების კანონის პროექტის (2010 წ.) კომენტარი

საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლობა დროებით კომისიაში მის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარს არ უნდა აღემატებოდეს.

ცხადია, რომ წარმოდგენილი ნორმა ამ კონცეფციას არ შეესაბამება.

● **კითხვით მიმართვის უფლება** (კონსტიტუცია, მუხლი 59, პუნქტი 1). ამ პუნქტის ახალი რედაქცია ასე გამოიყურება:

„1. პარლამენტის წევრი უფლებამოსილია კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მთავრობას, მთავრობის წევრს, სახელმწიფო დაწესებულებებს და მიიღოს მათგან პასუხი“.

ამ პუნქტის ამჟამად მოქმედი რედაქციის თანახმად, ამ ჩამონათვალში შედის აგრეთვე ქალაქის მერი და ყველა დონის ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელი. მართალია, არსებული ნორმა რედაქციულად გასასწორებელია (ქალაქის მერიც აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელია!), მაგრამ გაუგებარია, რატომ უქმდება ავტონომიური თუ თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისთვის კითხვით მიმართვის უფლება? ნუ დაგვავიწყდება, რომ თვითმმართველობის ან ტერიტორიული ერთეულების სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის შეჩერება ან მათი დათხოვნა პარლამენტის თანხმობით ხდება.

● **მთავრობის წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხის დასმის უფლება** (კონსტიტუცია, მუხლი 59, პუნქტი 3). ამ პუნქტის ახალი რედაქცია ასე გამოიყურება:

„3. პარლამენტი უფლებამოსილია პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით პრემიერ-მინისტრის წინაშე დასვას მთავრობის ცალკეული წევრის თანამდებობრივი პასუხისმგებლობის საკითხი“.

ამჟამად მოქმედი რედაქციიდან ამოღებულია მეორე წინადადება: „თუ პრემიერ-მინისტრი არ გაათავისუფლებს მთავრობის წევრს, ასეთ შემთხვევაში, იგი ორი კვირის ვადაში პარლამენტს წარუდგენს თავის მოტივირებულ გადაწყვეტილებას“. გაუგებარია ამ წინადადების ამოღების მიზანი. თუ პარლამენტი დასვამს მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხს, პასუხის გაცემის ვალდებულება არ უნდა არსებობდეს?

სხვა საქმეა, რომ არსებული ნორმაც ნაკლოვანია. თუ მთავრობის შესაქმნელად და უნდობლობის საკითხის აღსაძვრელად საკმარისია პარლამენტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა, მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას რატომ უნდა დასჭირდეს უფრო მეტი ხმა (სრული შემადგენლობის უმრავლესობა)?

ნორმა აშკარად დაუსრულებელია და, საერთოდ, უმჯობესი იქნება, თუ პარლამენტს უფლება ექნება, რომ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვაზე (იხ. კონსტიტუცია, მუხლი 59, პუნქტი 2) მთავრობის წევრის პასუხის მოსმენისა და განხილვის შემდეგ, პარლამენტის წევრთა არანაკლებ ერთი მეხუთედის მოთხოვნით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობის წევრს (რაც გამოიწვევს თანამდებობიდან მის გადადგომას).

● **მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებისა და ნდობის გამოცხადებაზე უარის უფლება.** ეს უფლებები მთავრობის საქმიანობის პოლიტიკური კონტროლის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა და მათ მთავრობისადმი მიძღვნილ ნაწილში განვიხილავთ.

**2.4.2. იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტისა და სხვა პირთა თანამდებობიდან გადაყენების უფლება**

იმპიჩმენტის წესით პრეზიდენტისა და სხვა პირთა თანამდებობიდან გადაყენების უფლება პარლამენტის სასამართლო (უფრო ზუსტად, კვაზი-სასამართლო) უფლებამოსილებას მიეკუთვნება და მას კონსტიტუციის 63-ე, 64-ე და 75-ე მუხლები ეძღვნება. ცვლილება შეეხო 63-ე მუხლსა და 75-ე მუხლის მე-2 პუნქტს, რომელთა ახალი რედაქციაც ასე გამოიყურება:

**მუხლი 63**

1. 75-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში იმპიჩმენტის წესით საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენების საკითხის აღძვრის უფლება აქვს პარლამენტის სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს. საკითხი დასკვნისათვის გადაეცემა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს.

2. თუ საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი დასკვნით დაადასტურა პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა ან კონსტიტუციის დარღვევა, დასკვნის წარდგენიდან არაუგვიანეს 15 დღისა პარლამენტი განიხილავს და კენჭს უყრის პრეზიდენტის იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენების საკითხს.

3. პრეზიდენტი იმპიჩმენტის წესით თანამდებობიდან გადაყენებულად ჩაითვლება თუ ამ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ ორმა მესამედმა.

........

**მუხლი 75**

2. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის შემთხვევაში პარლამენტს კონსტიტუციის 63-ე მუხლითა და კანონით დადგენილი წესით შეუძლია თანამდებობიდან გადააყენოს პრეზიდენტი.“

63-ე მუხლის ამჟამად მოქმედ რედაქციასთან შედარებით ოდნავ გამარტივდა იმპიჩმენტის პროცედურა (მე-2 პუნქტიდან ამოღებულია შუალედური კენჭისყრა იმის გადასაწყვეტად, კენჭისყრაზე დაისვას თუ არა თანამდებობიდან პრეზიდენტის გადაყენების საკითხი) და სასამართლოს დასკვნის მიღების შემდეგ 15 დღემდე შემცირდა თანამდებობიდან გადაყენების საკითხის კენჭისყრაზე დასმის ვადა. ასეთი მიდგომა მისასალმებელია, მაგრამ იმპიჩმენტის პროცედურა კვლავ ძალიან რთულია. ამ სირთულის ძირითადი მიზეზი საკონსტიტუციო სასამართლოს დასკვნის აუცილებლობაა, თანაც განსაზღვრული არ არის დასკვნის წარდგენის ვადა. საკამათოდ მიგვაჩნია პროექტის სიახლეც – საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ პრეზიდენტის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობის გამოკვლევა, ვინაიდან ასეთი სახის გამოკვლევა სრულიად უჩვეულოა საკონსტიტუციო სასამართლოსათვის.

ზოგადი შენიშვნის სახით უნდა ითქვას, რომ ფრიად საეჭვოა იმპიჩმენტის პროცედურაში სასამართლოს (სულ ერთია, საკონსტიტუციო თუ უზენაესი სასამართლოსი) დასკვნის არსებობის მიზანშეწონილობა. საქმე ის გახლავთ, რომ სასამართლოს დადებითი დასკვნის შემთხვევაში თანამდებობიდან გადაყენების საკითხს კენჭისყრით (ორი მესამედის უმრავლესობით) წყვეტს პარლამენტი. მაშასადამე, მას შეუძლია თანამდებობიდან არ გადააყენოს პრეზიდენტი თუ სხვა პირი, მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ დაადასტურა კონსტიტუციის დარღვევა ან დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების არსებობა. ცხადია, რომ ასეთი შედეგი ხელს შეუწყობს ქვეყანაში დაწყებული პოლიტიკური კრიზისის გამძაფრებას (თავად იმპიჩმენტის პროცესის დაწყება და სასამართლოს მიერ მისი საფუძვლების დადასტურება მიუთითებს ასეთი კრიზისის არსებობაზე). ამიტომ, ჩვენი აზრით, უმჯობესი იქნება, თუ იმპიჩმენტის პროცედურიდან გამოირიცხება სასამართლოს დასკვნა. ასეთ შემთხვევაში პარლამენტი ერთი კენჭისყრით, ორი მესამედის უმრავლესობით, გადაწყვეტს პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხს და ამით დაადასტურებს, ან არ დაადასტურებს მისთვის წარდგენილ ბრალდებას.

უნდა შევნიშნოთ, რომ 75-ე მუხლის მე-2 პუნქტის ახალი რედაქცია (იმპიჩმენტის საფუძვლები) ლოგიკურად მოითხოვს 64-ე მუხლის პირველ პუნქტში ანალოგიური ცვლილების შეტანას.

**2.4.3. საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების საკითხის დასმა**

მოქმედი კონსტიტუციით განსაზღვრული არ არის, ვის აქვს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების საკითხის დასმის უფლება. ამჟამად ეს საკითხი კანონით არის მოწესრიგებული. წარმოდგენილი პროექტის თანახმად, მისი მოწესრიგება კონსტიტუციით მოხდება. ამ მიზნით კონსტიტუციის 65-ე მუხლს ემატება პუნქტი $1^1$:

„$1^1$. საქართველოს პარლამენტს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირების, დენონსირებისა და გაუქმების შესახებ მიმართავს საქართველოს მთავრობა, ხოლო ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია საქართველოს პრეზიდენტის მიერ – საქართველოს პრეზიდენტი“.

როგორც ვხედავთ, საკითხის დასმის უფლება მხოლოდ მთავრობასა და პრეზიდენტს ექნებათ, ხოლო პარლამენტს, რომელიც „განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს“ (კონსტიტუცია, მუხლი 48), ეს უფლება არ ექნება – მას უფლება ექნება მხოლოდ დაეთანხმოს, ან არ დაეთანხმოს პრეზიდენტის ან მთავრობის მიერ მისთვის წარდგენილ წინადადებას.

მიგვაჩნია, რომ ასეთი წესი ზღუდავს პარლამენტის – ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს – უფლებას, განსაზღვროს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. პარლამენტს უფლება უნდა ჰქონდეს არა მხოლოდ პრეზიდენტისა და მთავრობის წარდგენით, არამედ საკუთარი ინიციატივითაც განახორციელოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა რატიფიცირება, დენონსირება და გაუქმება.

გარდა ამისა, ამ ახალი ნორმის თანახმად, თუ საქმე ეხება საერთაშორისო ორგანიზაციაში ან სახელმწიფოთაშორის კავშირში საქართველოს შესვლას, სამხედრო ხასიათის საკითხებს, სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, ან სახელმწიფო საზღვრების შეცვლას, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულება დადებულია პრეზიდენტის მიერ, საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიცირების, დენონსირების თუ გაუქმების საკითხის დასმის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს ექნება. ჩვენი აზრით, სრულიად გაუმართლებელი და არალოგიკურია ამ უფლების დანაწილება პრეზიდენტსა და მთავრობას შორის. მთავრობას, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლეს ორგანოს, უნდა ჰქონდეს ნებისმიერი საკითხის დასმის უფლება, ხოლო ზემოაღნიშნული საკითხების დასმის უფლება შეიძლება პრეზიდენტსაც მიენიჭოს.

**2.4.4. პარლამენტის რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევა**

პარლამენტის რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევა ისეთ საკითხთა გადაწყვეტის ქმედითი საშუალებაა, რომელთა გადაჭრასაც დრო არ ითმენს და რომლებიც პარლამენტის გარეშე ვერ გადაწყდება. ამიტომ, ლოგიკურად, რიგგარეშე სესიისა და სხდომის მოწვევის უფლება უნდა ჰქონდეს პარლამენტს, კონკრეტულად – პარლამენტის თავმჯდომარეს, რომელიც სესიასა თუ სხდომას იწვევს საკუთარი ინიციატივით ან კონსტიტუციით განსაზღვრულ პირთა მოთხოვნით. მოქმედი კონსტიტუციის თანახმად კი, ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ეს უფლება პრეზიდენტს ეკუთვნის (მუხლი 61, პუნქტი 2).

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 11), სესიისა და სხდომის მოწვევის მოთხოვნის უფლების მქონე პირთა წრეს დაემატა მთავრობა, რაც ლოგიკურია. მაგრამ სასურველად მიგვაჩნია წინა აბზაცში აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინება.

**2.4.5. საკანონმდებლო ინიციატივა**

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 15), უქმდება პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების შეზღუდვა******** და ნორმა, რომლის თანახმად, „თუ მთავრობა კანონით გათვალისწინებულ ვადაში არ წარმოადგენს შენიშვნებს პარლამენტში განსახილველ კანონპროექტთან დაკავშირებით, კანონპროექტი მთავრობის მიერ მოწონებულად ჩაითვლება“.

ცვლილების მეორე ნაწილი მისასალმებელია, ვინაიდან ამით ფაქტობრივად უქმდება პარლამენტის ვალდებულება, კანონპროექტის განხილვისას დაელოდოს მთავრობის დასკვნას.

რაც შეეხება ცვლილების პირველ ნაწილს: მართალია, პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს შეზღუდვა მხოლოდ ფორმალური აღმოჩნდა, მაგრამ ყოველგვარი შეზღუდვის გაუქმება აბსოლუტურად გაუმართლებლად მიგვაჩნია. უფრო მეტიც: მიგვაჩნია, რომ პრეზიდენტს საერთოდ არ უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება. ეს განცხადება ეყრდნობა ანალიტიკოსთა იმ საყოველთაოდ აღიარებულ შეფასებას, რომლის თანახმად, პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივისა და ვეტოს უფლების თანაარსებობა ხელს უწყობს საკანონმდებლო პროცესზე ერთგვარი მონოპოლიის დამყარებას და, შესაბამისად, პარლამენტის საკანონმდებლო უფლებამოსილების შეზღუდვას, რაც იწვევს წონასწორობის დარღვევას ხელისუფლების ამ ორ ინსტიტუტს შორის. წონასწორობის დარღვევის საფრთხეს ისიც აძლიერებს, რომ, როგორც მოქმედი კონსტიტუციის, ასევე პროექტის თანახმად, პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანონპროექტი მისივე მოთხოვნით პარლამენტმა რიგგარეშე უნდა განიხილოს.

ცალკე უნდა შევჩერდეთ პარლამენტის ვალდებულებაზე, რიგგარეშე განიხილოს მთავრობის მიერ წარდგენილი კანონპროექტი, თუ მთავრობა ამას მოითხოვს. ეს ვალდებულება შეიცავს საკანონმდებლო ინიციატივის უფლების ბოროტად გამოყენების რისკს. მაგალითად, ამ უფლების მეშვეობით მთავრობა შეძლებს ხელი შეუშალოს პარლამენტის გეგმით გათვალისწინებული იმ კანონის მიღებას, რომლის მიღებაც არ სურს, აგრეთვე, კონსტიტუციის ახალი, $81^1$ მუხლით გათვალისწინებული წესის გამოყენებით, შეძლებს აიძულოს პარლამენტი, მიიღოს მთავრობისთვის სასურველი კანონი, ან გამოიწვიოს პარლამენტის დათხოვნა. ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად აუცილებლად მიგვაჩნია, რომ მთავრობას ჰქონდეს საკანონმდებლო ინიციატივისა და კანონპროექტის რიგგარეშე განხილვის მოთხოვნის უფლება, მაგრამ პარლამენტი უნდა წყვეტდეს, დააკმაყოფილოს თუ არა ეს მოთხოვნა.

**2.4.6. კანონთა კატეგორია და პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის წესი**

კანონთა კატეგორიიდან ორგანული კანონის კატეგორიის ამოღების (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 14) დაუშვებლობაზე ზემოთ გვქონდა საუბარი (იხ. წინამდებარე კომენტარის 2.2 პუნქტი). რაც შეეხება პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის წესს (კონსტიტუცია, მუხლი 68, პუნქტი 4), მისასალმებელია ვეტოს დაძლევის კვორუმის შემცირება პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტამდე (პროექტი, მუხლი 1, პუნქტი 16), ანუ 76 ხმამდე (მოქმედი კონსტიტუციით ეს კვორუმი სამი მეხუთედი, ანუ 90 ხმაა). მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ აუცილებლად მიგვაჩნია ორგანული კანონის კატეგორიის დატოვება, ხოლო ორგანულ კანონზე დადებული ვეტოს დაძლევა პარლამენტის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტით უნდა ხდებოდეს.

**2.5. პრეზიდენტი (პროექტი, მუხლი 1, პუნქტები 17 – 23)**

კონსტიტუციის ეს ნაწილი მნიშვნელოვნად იცვლება პრეზიდენტის უფლებამოსილების შემცირების თვალსაზრისით (უფლებამოსილების ეს ნაწილი მთავრობას გადაეცა) და, ერთი შეხედვით, მიღწეულია დეკლარირებული მიზანი – პრეზიდენტის დაშორება აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან. მაგრამ უმთავრესი გახლავთ არა ამა თუ იმ უფლების ქონა-არქონა, არამედ ის, თუ როგორაა ეს უფლებები გადანაწილებული პარლამენტს, პრეზიდენტსა და მთავრობას შორის, დაცულია თუ არა წონასწორობა და არსებობს თუ არა ურთიერთკონტროლისა და შეკავების ქმედითი საშუალებები. სწორედ ეს განაპირობებს მმართველობის სისტემის მდგრადობის, ეფექტიანობისა და შესაძლო რისკებისაგან დაცვის ხარისხს. განსაკუთრებით არასასურველია აღმასრულებელი ხელისუფლების გაყოფა ორ დამოუკიდებელ ინსტიტუტს – პრეზიდენტსა და მთავრობას – შორის, რადგან ეს ყოველთვის ქმნის კონფლიქტის რისკს, რაც არსებით საფრთხეს უქმნის ხელისუფლების, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმის, სტაბილურ ფუნქციონირებას. პარლამენტის, პრეზიდენტისა და მთავრობის ნაწილებში შეტანილ ცვლილებათა ამ თვალსაზრისით გაანალიზებას საკმაოდ მძიმე დასკვნამდე მივყავართ: ცვლილებათა შედეგად კვლავ დაგვრჩება სახელისუფლებო განშტოებათა არაეფექტიანი, გაუწონასწორებული და, შესაბამისად, მაღალი ხარისხის რისკების შემცველი სისტემა, რომელშიც დომინანტურ როლს ამჯერად არა პრეზიდენტი, არამედ მთავრობა შეასრულებს.

ამ დასკვნის დასადასტურებლად მივყვეთ წარმოდგენილ ცვლილებებს და არ დავივიწყოთ კონსტიტუციის უცვლელად დატოვებული ნორმები.

**ვახტანგ ხმალაძე,**
**ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის წევრი;**

**ზურაბ ჯიბღაშვილი,**
**კონსტიტუციური სამართლის დოქტორანტი, საზოგადოებრივი და სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიების წევრი.**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

******** **მოქმედი კონსტიტუციის თანახმად (მუხლი 67, პუნქტი 2), ამ უფლების გამოყენება პრეზიდენტს „მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში“ შეუძლია.**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთს საქართველოს სარჩელის მოგება სურს

**13 სექტემბერს გაეროს საერთაშორისო სასამართლომ ჰააგაში დაიწყო საქართველოს სარჩელის მოსმენა რუსეთის წინააღმდეგ, რომელიც შეტანილი იქნა ჯერ კიდევ 2008 წლის აგვისტოში. თბილისი ბრალს სდებს მოსკოვს რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ კონვენციის დარღვევაში და სასამართლოსგან მოითხოვს აიძულოს რუსეთი უზრუნველყოს ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში**

როგორც ჩვენმა გაზეთმა გაარკვია, რუსეთის მხარეს ხანზრახული აქვს გაასაჩივროს სასამართლოს იურისდიქცია და იგი მიუთითებს იმაზე, რომ საერთაშორისო სასამართლოს დაწყებამდე საქართველოს არ გაუვლია ყველა აუცილებელი ინსტანცია.

შუამდგომლობა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ პროცესის დაწყების შესახებ საქართველომ შეიტანა ჯერ კიდევ 2008 წლის 12 აგვისტოს – კავკასიაში ომის უკანასკნელ დღეს. თბილისმა დაადანაშაულა მოსკოვი იმაში, რომ 1990 წლიდან ის არღვევდა 1965 წლის კონვენციას რასობრივი დისკრიმანაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ". რუსეთის ფედერაცია თავისი სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტების მეშვეობით, რომლებიც მოქმედებენ რუსეთის ფედერაციის მითითებით ან ხელმძღვანელობით, სერიოზულად არღვევს კონვენციის ფუნდამენტურ ვალდებულებებს", – ნათქვამია შუამდგომლობაში. კერძოდ, თბილისის ვერსიით, მოსკოვი ახორციელებდა ქართული მოსახლეობის დისკრემინაციას, 2008 წელს კი „საქართველოს წინააღმდეგ გააჩაღა აგრესია, რათა საბოლოოდ ჩამოართვას ქართველ ლტოლვილებს უფლება დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში და წაართვას საქართველოს მოსახლეობას თვითგამორკვევის უფლება". როგორც საქართველოს იუსტიციის სამინისტროში გვაცნობეს, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის შესახებ არჩეულია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ პრეტენზიების დასასაბუთებლად იმიტომ, რომ კონვენციის 22-ე მუხლის თანახმად დარღვევანი უნდა იქნეს განხილული, თანაც მოპასუხეს არ შეუძლია დაბლოკოს განხილვა.

პირველი დასწრებითი მოსმენა საქართველოს სარჩელთან დაკავშირებით სასამართლომ მოაწყო2008 წლის სექტემბერში. განხილვის შედეგი – რუსეთის სასარგებლო აღმოჩნდა. თბილისი მაშინ რუსეთის ფედერაციის მიმართ მოითხოვდა შემოეღო უზრუნველყოფის ზომები, აეძულებინა მოსკოვი, გამოეყვანა თავისი ჯარები აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან, უზრუნველეყო ქართველ ლტოლვილთა დაბრუნება და მიეცა მათთვის საკუთრების უფლების გარანტია, აგრეთვე უზრუნველეყო სოხუმისა და ცხინვალის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში, ამასთან ერთად გადაუხადოს საქართველოს კომპენსაცია. მაგრამ გაეროს საერთაშორისო სასამართლომ თავისი 15 ოქტომბრის გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა თბილისის მოთხოვნები, შემოიფარგლა მხოლოდ მოწოდებით ორივე მხარის მიმართ – „თავი შეიკავონ რასობრივი დისკრიმინაციისა და მისი მხარდაჭერის აქტებისგან".

როგორც ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში გვაცნობეს, შარშან 1 დეკემბერს რუსეთმა შეიტანა უარყოფა საქართველოს სარჩელზე, რომელშიც სადავოდ არის გამხდარი სასამართლოს იურისდიქცია. სწორედ ეს წინააღმდეგობანი გახდა 13 სექტემბრის მოსმენის საგანი. პროცედურის შესაბამისად 13 სექტემბერს პირველი გამოვიდა რუსეთის დელეგაცია: თავისი პოზიციის გამოსათქმელად მას 3 საათს გამოუყოფენ, მეორე დღეს ანუ 14 სექტემბერს თავის წინააღმდეგობას გამოაქვეყნებს ქართული მხარე. შემდეგ კი, ოთხშაბათს, ორი საათის განმავლობაში გამოვლენ რუსები, პარასკევს – ქართველები. გადაწყვეტილების გამოტანისთვის სასამართლოს დასჭირდება „2 კვირიდან რამდენიმე თვემდე", – გვაცნობეს სასამართლოს წყაროებიდან.

ამ წყაროს სიტყვებით, პროცესის მოახლოების დროს მოსკოვმა გადაწყვიტა დასაწყისისთანავე ჩაეხშო სარჩელი ფორმალური კრიტერიუმებით, რათა თავიდან აეცილებინა საქართველოს პრეტენზიები არსებით საკითხებზე. სწორედ ამიტომ ამ მომენტში რუსეთი სადავოდ ხდის სასამართლოს იურისდიქციას. „ყველა უარყოფიდან, რომლებიც რუსეთის ფედერაციამ წარადგინა სასამართლოში, მოსკოვი მიიჩნევს, რომ საქართველოს სარჩელი 1965 წლის კონვენციისადმი მიბმულია ხელოვნურად, ამიტომ ჰააგის სასამართლომ არ უნდა განიხილოს ეს საქმე", – მიუთითებს წყარო. მისი სიტყვებით, მოსკოვის მთავარი იურიდიული არგუმენტი არის ის, რომ სარჩელის შეტანამდე საქართველოს არასოდეს დაუდევს ბრალი რუსეთისთვის თავისი მოსახლეობის რასობრივ დისკრიმინაციაში. მიუხედავად იმისა, რომ ომამდე აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში „გაყინული" კონფლიქტები ხდებოდა განხილვის საგანი გაეროს, ეუთოსა და შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში, თბილისი მოსკოვის მიმართ ოფიციალურ პრეტენზიებს არ ასახელებდა.

უფრო მეტიც, 13 სექტემბერს სასამართლო სხდომაზე რუსეთის მხარე მიუთითებს იმ დარღვევებზე, რაც საქართველომ დაუშვა სარჩელის შეტანის დროს. საქმე ის არის, რომ თბილისი როდესაც რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ სარჩელს აყენებდა, მიუთითებდა დეკლარაციის 22-ე მუხლზე, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს სარჩელის შეტანას, მაგრამ, როგორც პროცესთან დაახლოებული მოსაუბრე აღნიშნავს, სასამართლოს შეიძლება მიმართო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დავა „არ გადაწყდა მოლაპარაკების ან პროცედურების გზით, რაც სპეციალურად არის გათვალისწინებული კონვენციაში".

ეს პროცედურები დეტალურად არის აღწერილი მე-11-13 მუხლებში. სახელმწიფომ – კონვენციის მონაწილემ, რომელიც ბრალს სდებს სხვა სახელმწიფოს კონვენციის დებულებათა შეუსრულებლობაში, თავდაპირველად უნდა მიმართოს გაეროს კომიტეტს რასობრივი დისკრიმინაციის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. კომიტეტის შემდეგ პრეტენზიებს გადასცემს შესაბამის სახელმწიფოს, რომელმაც 3 თვის განმავლობაში უნდა წარმოადგინოს თავისი წერილობითი განმარტებანი. თუ ექვსი თვის შემდეგ საკითხი კვლავ მოუგვარებელია, მაშინ გაეროს კომიტეტი ქმნის შემათანხმებელ კომისიას, რომელმაც უნდა მოამზადოს „დასკვნები ყველა საკითხზე, რომლებიც შეეხება დავის ფაქტობრივ მხარეს, და რეკომენდაციები, რომლებსაც იგი მიიჩნევს აუცილებლად დავის გადაწყვეტისთვის". კომიტეტის თავმჯდომარე შემდეგ ამ დოკუმენტს უგზავნის დავის მონაწილეებს, რომლებმაც 3 თვის განმავლობაში უნდა განაცხადონ, ეთანხმებიან თუ არა ისინი შეთანხმებითი კომისიის წინადადებებს. მხოლოდ ამ პროცედურების გავლის შემდეგ, თუ სამართლიანობას ვერ მიაღწევს, ერთ-ერთ მხარეს შეუძლია მიმართოს გაეროს სასამართლოს.

„საქართველოს ეს აუცილებელი ეტაპები არ გაუვლია, ასე რომ, ჰააგის სასამართლოს აქვს უფლება უარი განაცხადოს სარჩელის განხილვაზე, – აღნიშნავს წყარო. – მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის აგვისტოში გაეროს კომიტეტი განიხილავდა სწორედ რუსეთის ფედერაციის ანგარიშებს, საქართველომ კი რატომღაც არ ისურვა იქ მიმართვა, პირდაპირ მიმართა სასამართლოს". მეორე მოსაუბრის სიტყვებით, მოსკოვი დაჟინებით დაიწყებს იმის მოთხოვნას, რომ თუ სასამართლო მაინც მიიღებს საქართველოს სარჩელს განსახილველად, ის ამით შელახავს გაეროს კომიტეტის ავტორიტეტს.

თავის მხრივ, თბილისს იმედი აქვს, რომ ჰააგის სასამართლო უარყოფს რუსეთის ფედერაციის პრეტენზიებს და გააგრძელებს სარჩელის განხილვას. „საქართველოს მხარემ სასამართლოს წარუდგინა უტყუარი დადასტურებანი რუსეთის პასუხისმგებლობის შესახებ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ქართული მოსახლეობის ეთნიკური დისკრიმინაციის შესახებ 1990 წლებიდან დღემდე, და იმედი გვაქვს სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილებისა", – განუცხადა ჩვენ გაზეთს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თინათინ ბურჯალიანმა, რომელიც ხელმძღვანელობს ქართველ იურისტთა გუნდს ჰააგაში (საქართველოს იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების გარდა თბილისის ინტერესებს დაიცავენ საერთაშორისო ადვოკატები ჯეიმს კროუფორდი, ფილიპ სანდსი, პოლ რაიხლერი და პაიამ ახვანიძ.

ქალბატონ ბურჯალიანის სიტყვებით, ამ დღეებში ჰააგაში იმყოფებოდა საქართველოს იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი და მან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროკურორს ლუის მორენო-ოკამპოს გადასცა ინფორმაცია ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის შესახებ. ჩვენი გაზეთის მონაცემებით, ეს მასალები ძალიან ჰგავს იმ 4 თემას, რომლებიც თბილისმა ადრე გაუგზავნა ჰააგის სასამართლოს. მათში საბრალდებო მემორანდუმის გარდა არის დადასტურებათა სამი ტომი: პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის და სხვა ჩინოვნიკების ინტერვიუები, ქართველ ლტოლვილთა ჩვენებანი და შიდასამთავრობო დოკუმენტები.

ამ დოკუმენტების წყალობით, თბილისს იმედი აქვს დაარწმუნოს ჰააგის სასამართლო გამოიყენოს მკაცრი სანქციები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ. „საერთაშორისო სასამართლოს უფლება აქვს აიძულოს სახელმწიფო, რომელმაც დაარღვია საერთაშორისო სამართალი, გადაიხადოს რესტიტუცია და კომპენსაცია, – განაცხადა თინათინ ბურჯალიანმა. – მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად კომპენსაციის გადახდა, არამედ ის, რომ სასამართლომ აიძულოს რუსეთის ფედერაცია შეწყვიტოს ეთნიკური ქართველებისა და საქართველოს მოქალაქეთა დისკრიმინაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე – როგორც უშუალოდ თავად, ისე მარიონეტული რეჟიმების მეშვეობით, აგრეთვე აიძულოს იგი შეწყვიტოს ლტოლვილთა დაბრუნებისთვის დაბრკოლებების შექმნა". ქალბატონი ბურჯალიანი მნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ უკანასკნელი რამდენიმე დღის განმავლობაში სასამართლო მოსმენების დაწყებამდე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც ადასტურებს ლტოლვილთა უფლებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაბრუნებაზე.

**ალექსანდრ გაბუევი**
**გიორგი დვალი**
**Коммерсантъ**



# რუსული ოკუპაცია დიდხანს არ გაგრძელდება

**„სინამდვილეში საქართველო ამერიკა-რუსეთის ურთიერთობათა შემდგომი გაუმჯობესების „საცდელი პოლიგონია", – აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჩვენთან საუბარში. ის არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა დაივიწყა საქართველო. „ყველა შეხვედრაზე უმაღლეს დონეზე ამერიკა აყენებს საქართველოს საკითხს", ხაზგასმით აღნიშნა სააკაშვილმა**

– უნდა განაახლოს თუ არა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იარაღის მიწოდება საქართველოში? – შეეკითხა ჟურნალისტი.

– საქართველოს არ შეუძლია თავს დაესხას რუსეთს, მაგრამ რუსეთისთვის დაუცველი საქართველო – ეს არის დიდი ცდუნება, შეცვალოს ჩვენი მთავრობა ძალით, – თქვა სააკაშვილმა. მან აგრეთვე დააყენა წინადადება „მიენიჭოს საერთაშორისო ხასიათი" აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან რუსეთის ჯარების გამოყვანას.

– თუ მისცა ვაშინგტონმა უშიშროების გარანტია საქართველოს, თუ რუსეთი მას თავს დაესხმის? – შეეკითხა ჟურნალისტი.

– უშიშროების ფორმალური გარანტიები არ არის. ჩემი აზრით, ამჟამად ვამჩნევთ გაცილებით უფრო აქტიურ დიპლომატიურ ძალისხმევას, რომლის მიზანიცაა თავიდან იქნეს აცილებული ახალი კონფლიქტი, – უპასუხა სააკაშვილმა.

**ჯერი გუო**
**Newsweek**

## დედამიწის ზურგზე



**სამხრეთ კორეამ დაამთავრა კორვეტ „ჩხონანის" დაღუპვის გამოძიება: დამნაშავეა ჩრდილოეთ კორეის ტორპედო**

სამხრეთ კორეის კომისიის (მასში 73 კაცი შედის, მათ შორის ავსტრალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან და შვედეთიდან) დასკვნის თანახმად, ტორპედო გაუშვა სამხრეთ კორეის წყლებში შეუმჩნევლად შეღწეულმა სუბმარინმა. ფხენიანმა კატეგორიულად უარყო ინციდენტში თავისი მონაწილეობა.

* * *

**კიმ ჩენ ირი ცუდად გახდა, პარტიული კონფერენცია, სადაც ხელისუფლება უნდა გადასცემოდა მემკვიდრეს, გადაიდო**



ამავე დროს, როგორც ხელისუფლება განმარტავს, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ სტაბილურია, რათა ღონისძიება არ გადაიდოს. სეულის მონაცემებით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ კონფერენციის გადადება გამოიწვია პეკინის მხრიდან ხელისუფლების გადაცემის მხარდაჭერის მოლოდინმა.

* * *

**მექსიკაში დააპატიმრეს ელგრანდეს ნარკობარონი**



ნარკოკარტელის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სერხიო ვილიარეალ ბარაგანი შეტანილია ყველაზე მეტად საძიებო დამნაშავეთა სიაში. ის დააპატიმრეს შეტევის დროს, რომელიც განხორციელდა მექსიკის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ უებლოში. მის შესახებ ინფორმაციისთვის პროკურატურა 2009 წელს 2 მილიონ დოლარს იხდიდა.

* * *

**ინდოეთში იფეთქა ქოლერამ და დიზენტერიამ: დაიღუპა 38 კაცი, ათასზე მეტი ინფიცირებულია**

დაავადების აფეთქება გამოიწვია არნახულმა მუსონურმა წვიმებმა, რომლებიც თავს დაატყდა ინდოეთის დიდ ნაწილს წელს. ინდოეთის აღმოსავლეთი არის მსოფლიოში ქოლერის წარმოშობის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბუნებრივი კერა. კოკისპირული წვიმების პირობებში, რომლის დროსაც მდინარეებში წყლის დონე მაღლა იწევს, ეპიდემიოლოგიური სიტუაცია კიდევ უფრო მწვავდება.



სათქმელი უნდა ითქვას!

# ვინ და რატომ „დაიწუნა“ „თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი“?

## რამდენიმე რიტორიკული შეკითხვა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს

***2006 წელს საქართველოს სამეცნიერო ფონდმა დააფინანსა ჩემი პროექტი „თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი“. განაცხადში აღვნიშნავდი, თეატრის სფეროში ქართულ ენაზე არათუ ენციკლოპედიური, თვით უბრალო საცნობარო გამოცემაც კი არ მოგვეპოვება-მეთქი, რამაც, როგორც ჩანს, შთაბეჭდილება მოახდინა და წარმოუდგენლად დიდი კონკურსის მიუხედავად (საკმარისია დავიმოწმოთ ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობდნენ საქართველოს ყველა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები), ქართულმა თეატრმცოდნეობამ პირველად მოიპოვა სოლიდური თანხა სამეცნიერო შრომის შესაქმნელად.***

შემდგომ ამისა, აწ უკვე ნეტარსახსენებელი „სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან“ (რომელიც ჯერ ინსტიტუტად გადაკეთდა და მერე ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე საერთოდ დაიხურაძ შევარჩიე ხუთი მეცნიერი თანამშრომელი და ყველანი დიდი მონდომებით შევუდექით ლექსიკონის მომზადებას.

დათქმულ ვადაში მუშაობას მოვრჩით. ჯერი მიდგა ნაშრომის გამოცემაზე.

ამავე პერიოდში დაიწყო უნივერსიტეტის საკონკურსო მარათონი (უფრო ზუსტი იქნებოდა მეთქვა – საკონკურსო ბაკქანალიაძ. მე პროტესტი გამოვთქვი საშინელი უსისტემობის, პროცედურული დარღვევების, მონაცემთა გაყალბებისა და პიროვნულ მიკერძოებათა გამო. ჩემთვის ცნობილ მეცნიერთაგან ინსტიტუტის კედლებს მიღმა დარჩნენ აქტიური კინომცოდნე ოლიკო ქლენტი, აქტიური თეატრმცოდნე და ტელეჟურნალისტი მანანა ტურიაშვილი. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი იყო პროფესორ გოგი დოლიძის „დამარცხების“ ინსცენირება საკონკურსო კომისიის მიერ (ამდაგვარი უსამართლობის მსხვერპლი პრაქტიკოსებს შორისაც ბევრია, მაგრამ მათი დაცვა, კრიტერიუმების არარსებობის გამო, წარმოუდგენლად უფრო ძნელიაძ.

ჩემმა ასეთმა „თამამმა“ პოზიციამ გამოიწვია რექტორის გულისწყრომა, რასაც მოჰყვა ჩემი დევნა როგორც პედაგოგიურ, ისე სამეცნიერო ნაწილში და მათ რიცხვში აღმოჩნდა უკვე გამოსაცემად გამზადებული, თურმე სამეცნიერო ფონდისთვის ბედკეთილად, ჩვენი უნივერსიტეტისათვის კი ბედუკუღმართად ჩაფიქრებული „თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი“.

როგორც იქნა, დიდი დაგვიანებით, აღნიშნული ნაშრომი რეცენზირებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს მიერ (რეცენზენტები თ. ბოკუჩავა და მ. გოშაძეძ. საბჭომ დანიშნა გამოცემის რედაქტორიც – ბატონი ვასილ კიკნაძე. გარკვეული პერიპეტიებისა და ბატალიების შემდეგ, ფაკულტეტის საბჭოზე ერთხმად დადებითად გადაწყდა ნაშრომის გამოცემის საკითხი. დადგა აკადემიური საბჭოს ჯერი.

გეფიცებით, რომ არათუ დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოში, კომუნისტურ ეპოქაშიც კი ვერაფრით წარმოვიდგენდი ასეთ რამეს – აკადემიურმა საბჭომ „დაიწუნა“ ნაშრომი ასეთი დასკვნის საფუძველზე (მომაქვს ოქმის მთლიანი ამონაწერიძ: **„აკადემიურმა საბჭომ განიხილა წარმოდგენილი ნაშრომი – „თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი“ – (პროექტის ავტორი და მთავარი რედაქტორი მერაბ გეგია; საფუძველი – ჰუმანიტარულ, სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება) და დაადგინა, რომ ლექსიკონი არ შეესაბამება დღეს არსებულ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და საერთაშორისო სტანდარტებს, აუცილებელია ნაშრომი დამუშავდეს თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით.“** დასკვნას სხვებთან ერთად ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მარგველაშვილი.

და აი, დადგა რამდენიმე რიტორიკული შეკითხვის დასმის ჟამი:

1. ფაკულტეტის საბჭოს მიერ მოწონებული (რეცენზირებული, რედაქტირებულიძ და დასაბეჭდად რეკომენდებული ნაშრომი რის საფუძველზე დაიწუნა აკადემიურმა საბჭომ? დავიჯერო, ეს ხუთასგვერდიანი ნაშრომი იქ რამდენიმე დღეში ვინმემ წაიკითხა? ან როგორ წაიკითხა, როცა აკადემიურ საბჭოს წევრებს ხელთ არ ჰქონდათ ნაშრომის არც ბეჭდვითი და არც ელექტრონული ვერსია?!

2. ვთქვათ, ვიღაცამ ეს ნაშრომი ადრე წაიკითხა, ჯერ კიდევ ფაკულტეტური განხილვის პროცესში. ვინ იყო თეატრის საკითხებში ასეთი კომპეტენტური, რომ გადაფარა მერაბ გეგიასა და ვასილ კიკნაძის, თამარ ბოკუჩავას და მაია გოშაძის, ნატა დევიძის და გულიკო მამულაშვილის, მერი ონაშვილის, თამრიკო ქუთათელაძის, ლამარა ღონღაძის კომპეტენცია, და ბოლოს – არაფრად ჩააგდო ფაკულტეტის საბჭოს და მისი დეკანის – გ. ცქიტიშვილის დადგენილება ნაშრომის გამოცემის შესახებ?!

3. ბრალდებად როგორ უნდა მიუყენო „თანამედროვე მოთხოვნების გაუთვალისწინებლობა“ მოქმედ თეატრმცოდნე-პედაგოგების მთელ არმადას?! და ეს მაშინ, როცა აკადემიურ საბჭოში შეყვანილთა შორის (დიახ, „შეყვანილი“ და არა „არჩეული“, რამეთუ აქაც არჩევნების ნაცვლად წინასწარ შედგენილია აკადემიური საბჭოს მომავალი წევრების სიაძ, როგორც წესი, არ ფიგურირებს არც ერთი თეატრმცოდნე, რაც ფრიად სიმპტომატურიაძ. დიდი გამოცნობა არ უნდა იმას, ვინ გამოდგა ასეთი გაბედული და ყოვლისმცოდნე. დიახ, მართალი ბრძანდებით, თავად აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, იგივე რექტორი, იგივე გ. მარგველაშვილი!

4. დავუშვათ, პირადად რექტორს ეჭვი შეეპარა ნაშრომის ღირსებებში. განა აუცილებელი არ იყო მისი ხელახალი რეცენზირება ვინმე სხვა კომპეტენტური პირის მიერ?! განა მე, როგორც პროექტის ავტორს და მთავარ რედაქტორს ხელთ არ უნდა მქონდეს ის კონკრეტული „ბრალდებები“, რომლებიც ვიღაცამ წაუყენა სამეცნიერო ნაშრომს?!

არათუ სამეცნიერო ნაშრომის, თვით ხელოვნების ნაწარმოების კრიტიკაც კი დაუშვებელია ზოგადი ბრალდებების მიყენებით. მოწონება-დაწუნება პროფესიულ დონეზე მოითხოვს არგუმენტირებას და ფაქტების კონსტატაციას.

ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ახლანდელი აკადემიური საბჭოს წევრებს არაფრის თქმა არ შეუძლიათ აღნიშნულ შრომაში არსებულ თვით უმარტივეს საკითხებზეც კი. და იცით რატომ? იმიტომ რომ კომპეტენტურები არ არიან თეატროლოგიის სფეროში. მაშ როგორღა გააკეთეს ასეთი მტკიცე დასკვნა?!

კი არ გააკეთეს, გააკეთებინეს. ესეც დღესავით ნათელია, ვინც გააკეთებინა. აშკარაა, რომ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ერთპიროვნულად მიიღო აღნიშნული გადაწყვეტილება და მას ყველა მორჩილად დაეთანხმა.

რექტორმა კი მიიღო ასეთი გადაწყვეტილება, მაგრამ მოდით გავარკვიოთ, რომელი კომპეტენციის ფარგლებში?!

უნდა ითქვას, რომ ორმოცდაათი წლის ასაკში ყველა ქართველ რეჟისორს, ვინც კი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, გამოქვეყნებული ჰქონდა არაერთი სამეცნიერო ნაშრომი. შორს რომ არ წავიდეთ, სამაგალითოდ დოდო ალექსიძის და მიხეილ თუმანიშვილის სამეცნიერო ნაშრომები კმარა. გ. მარგველაშვილს კი არათუ სამეცნიერო, ერთი პუბლიცისტური სტატიაც არ აქვს გამოქვეყნებული. მაშ რის საფუძველზე მისცა თავს უფლება და უგულებელყო ამდენი თეატრმცოდნის და მთლიანად ფაკულტეტის საბჭოს დასკვნა?!

არცთუ დიდი ხნის წინათ, ჩვენი უნივერსიტეტის კედლებში ტარდებოდა სამეცნიერო კონფერენცია, რომლის ინიციატორი და ხელმძღვანელი იყო რექტორის მოადგილე ლ. ხეთაგური (განათლების კანონის გვერდის ავლით ჩვენს უნივერსიტეტში ასეთი თანამდებობაც არსებობსძ. ერთ-ერთმა სტუდენტმა თავის ნაშრომში საყოველთაოდ ცნობილი „დეუს ექს მახინა“ (ლათ. deus ex machina, სიტყვასიტყვით – მანქანიდან გადმოსული ღმერთიძ მოიხსენია როგორც „გეოს ექს მახინა“, ანუ მანქანიდან გადმოსული მიწა. უფრო მეტიც, ეს სიტყვები ვეებერთელა ასოებით დაიწერა დიდ კომპიუტერულ ვიდეოეკრანზეც. იქ მყოფ პროფესორ-მასწავლებელთაგან (მათ შორის კონფერენციის მომწყობსაცძხმა არ ამოუღიათ, მხოლოდ მე „გავბედე“ და მივუთითე სტუდენტს უხეშ შეცდომაზე. იგი ვერ მიხვდა, რას ვსაყვედურობდი, და ეს იმიტომ, რომ არავინ აუხსნა ელემენტარული რამ, რომ უნდა დააკვირდეს სიტყვების ეტიმოლოგიას, არავინ უთხრა, რომ დეუსი ბერძნულად ნიშნავს ღმერთს, ხოლო გეო – დედამიწას. არავინ უთხრა, რომ თუნდ თავი დავანებოთ საყოველთაოდ ცნობილ გეო-გრაფიას, გეო-დეზიას, გეო-ლოგიას, გეო-მეტრიას, გეო-პოლიტიკას, ჩვენ, ქართველებს გეორგიანელები გვქვია სწორედ იმიტომ, რომ სამიწათმოქმედო ქვეყნის შვილები ვართ (ან ვიყავით, როგორც ეს ბერძნებმა აღიქვეს ანტიკურ ხანაშიძ. და არავინ უთხრა იმიტომ, რომ ან წაკითხული არ ჰქონდა ამ სტუდენტის სამეცნიერო ნაშრომი, ან მანაც არაფერი იცოდა „გეო-დეუსის“ შესახებ. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, პედაგოგმა დაუშვა სრულიად მიუტევებელი გულგრილობა ან შეცდომა. ბუნებაში პედაგოგის ლიცენზია რომ არსებობდეს, ასეთ პედაგოგს იგი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოერთვას.

შემდგომში გაირკვა, რომ ეს სტუდენტი წარჩინებულთა რიგებშია, მაგრამ ჩვენს უმაღლესს სასწავლებელში სწორედ ლექსიკოგრაფიული კულტურის არარსებობამ დააშვებინა ასეთი უხეში შეცდომა (დღესაც კი, ამდენი სამეცნიერო რეგალიების პატრონს, წერის დროს გარს მარტყია უამრავი სხვადასხვა დასახელების ლექსიკონიძ.

ზემოაღწერილი ხარვეზების შევსებას ისახავდა მიზნად „თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონი“, და მეტი რომ არ ვთქვათ, სრულიად გულგრილი უნდა იყო სტუდენტური განათლების მიმართ, რომ ასე ჰაიჰარად გაიმეტო ასეთი მნიშვნელობის მატარებელი ნაშრომი.

მეორე მხრივ, ამდაგვარი გულგრილობის ფაქტი იმდენია, რომ ყოველი მათგანი ცალკეული განგაშის თემად გამოდგებოდა (საკმარისია გავიხსენოთ, რომ რექტორი არ ესწრება სამსახიობო და სარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა არათუ საკურსო, თვით სადიპლომო სპექტაკლებსაც კიძ.

მოვიყვან ჩემი დევნის და რექტორატის მხრიდან უნივერსიტეტის ინტერესების სრული იგნორირების კიდევ რამდენიმე მაგალითს: ორჯერ მივიღე მონაწილეობა კონკურსში სრული პროფესორის თანამდებობის შესანარჩუნებლად. პირველად ჩემი მეტოქე იყო თეატრმცოდნე, რომელსაც არც სადოქტორო დისერტაცია აქვს დაცული და არც სამეცნიერო შრომების ავტორია. მის მიერ გამოქვეყნებული თითოკაკალა რეცენზია მხოლოდ იმის ნიმუშად თუ გამოდგება, როგორ არ უნდა დაიწეროს რეცენზია. მიუხედავად ამისა, უპირატესობა მას მიანიჭეს როგორც სოროსელს და ე.წ. „განათლების რეფორმატორთა“ ჯგუფის წევრს.

მეორედ ჩემი მეტოქე თუმც ჩემსავით მეცნიერებათა ნამდვილი დოქტორი იყო, მაგრამ საგრძნობლად ჩამომრჩებოდა როგორც გამოქვეყნებული შრომების რაოდენობით, ისე კრიტიკის ასპარეზზე აქტიურობის კოეფიციენტით. აქედან გამომდინარე, ყველა პარამეტრებში ვუგებდი „ათით ერთს“ (ძალიან მიმძიმს ამის თქმა, მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემს ამ მეტოქეს ექიმებისგან აკრძალული აქვს ლაპარაკი. არავის აღარდებს ის ფაქტი, რომ ამის გამო დრამის თეორიაში ლექციები აღარ ტარდება და თუ ტარდება, ლექტორის ჯანმრთელობის საზიანოდძ. მიუხედავად ამ ყველაფრისა, უპირატესობა მაინც მას მიანიჭეს.

ეს ყველაფერი გაკეთდა მხოლოდ ერთი განზრახვით, რომ როგორმე მე არ დამეკავებინა აღნიშნული აკადემიური თანამდებობა.

„თეატრის ენციკლოპედიური ლექსიკონის“ შექმნის შემდგომ, 2008 წელს დავასრულე მრავალწლიანი მუშაობა დრამის თეორიის სახელმძღვანელოზეც სახელწოდებით „კონფლიქტის პოეტიკა“. ეს ნაშრომი სარეცენზიოდ გადაეცა ერთ-ერთ ყველაზე კომპეტენტურ თეატრმცოდნეს ბატონ ნოდარ გურაბანიძეს, რომელმაც მისი წაკითხვისთანავე რექტორს წერილობით ურჩია ამ სახელმძღვანელოს სასწრაფოდ გამოცემა. მას შემდეგ წლები გავიდა.

და კვლავ რიტორიკული შეკითხვა: ამ წლებში დრამის თეორიის სახელმძღვანელოზე მნიშვნელოვანი რა გამოსცა თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობამ? ხომ ფაქტია, რომ ჩემს ხელთ არსებული წყაროების (ინტერნეტრესურსების ჩათვლითძ მიხედვით, მთლიანად ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში ეს ერთადერთი სახელმძღვანელოა დრამის თეორიის სფეროში. იგი თანაბრად სჭირდებათ როგორც თეატრის თეორეტიკოსებს, ისე პრაქტიკოსებს. მაშ რატომ მოხდა მისი ასეთი იგნორირება?

პასუხი მარტივია:ნეს მოხდა ჩემი პიროვნული შევიწროების, სტუდენტური განათლებისადმი სრული გულგრილობისა და აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში არსებული სრული განუკითხაობის გამო.

ბუნებაში არსებობს ე.წ. „ბუმერანგის ეფექტი“. ყველა უსამართლობა, ადრე თუ გვიან, „უსამართლობის მტყორცნელს“ უბრუნდება.

დაბრუნებით კი დაუბრუნდება, მაგრამ რა ვუყოთ მათი ქმედებით გამოწვეულ სავალალო შედეგებს, რით ვუშველოთ უფსკრულისკენ დაქანებულ თეატრის თეორიას და კრიტიკას?

ეს უკვე აღარ არის რიტორიკული შეკითხვა.

**მერაბ გეგია.**

***P.S.** თეატროლოგიაში ჩემი კომპეტენტურობის სადემონსტრაციოდ მკითხველს წარვუდგენ ჩემს რეგალიებს: ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი (1999 წლიდან), საქართველოს განათლების აკადემიის აკადემიკოსი (2002 წლიდან), თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2000-2008 წწ.), წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი (2005-2008 წწ.), თეატრის თეორიისა და კრიტიკის მიმართულების ხელმძღვანელი (2005-2008 წწ), მარჯანიშვილის პრემიის ლაურეატი (2001 წ.), თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (2008.09.10 წწ.), მწერალი, დრამატურგი.*

*თქვენ, ბატონო გოგი?*

***მ. გ.***

რეზონანსი

# არ გეთანხმებით, ბატონო რუსლან!

## გამოხმაურება „საქართველოს რესპუბლიკის“ წლევანდელი 8 სექტემბრის ნომრის პუბლიკაციაზე

ბატონო რუსლან, თქვენი პუბლიკაციები გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ყოველთვის ჩემს თანაგრძნობას და მხარდაჭერას პოულობს. მათ მუდამ თან სდევს ხოლმე მცირე იუმორი, მცირე სატირა, მცირე კიდევ რაღაცრაღაცები და, საბოლოო ჯამში, სწორი, უტყუარი ანალიზი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ამა თუ იმ კონკრეტული მოვლენისა. ეს პუბლიკაციები ზოგჯერპოლიტიკური ხასიათისაა, ზოგჯერ – საყოფაცხოვრებოსი, ხშირად კი „წკიპურტს“ გაჰკრავს ან „ჩხვლეტებს“ აყენებს მათ, ვინც ამას იმსახურებს.

ასეთია „საქართველოს რესპუბლიკის“ 8 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული თქვენი წერილი – „არა, დედას არ „მოგიკლავ“...

მომეწონა იგი, მაგრამ არ ვეთანხმები წერილის ბოლო აბზაცს, სადაც ამბობთ, „... დამრტყმელი არა, მაგრამ კარგი გამწკეპლავ-ყურის ამწევი კი ნამდვილად სჭირდება ბევრ დღევანდელ ახალგაზრდა „შემოქმედს“, ჭეშმარიტი ოსტატობის გარდა ყოველნაირი გზით რომ ცდილობს „წარმატების მოპოვებას“.

ბატონო რუსლან, არც ისე პატარა ასაკისა ვარ, მაგრამ ჩემს ახალგაზრდობამდე, თურმე, თბილისში მიღებული ყოფილა ცუდი კაცის ცემა (რა თქმა უნდა, მხოლოდ მუშტით, ყოველგვარი ცივი ან ცეცხლსასროლი იარაღის გარეშე).

ჰოდა, ზემოხსენებულ „შემოქმედებს“ გაწკეპვლა კი არა, კარგად მაგრად მიბეგვა (გნებავთ, დაჟეჟვა) უნდათ! მე, პირადად, არც ამ დაბეგვა-დაჟეჟვის დაჟინებით მომხრე ვარ და ამიტომ მთელი სერიოზულობით ვაფრთხილებ ჩვენს „წარმატებულებს“ – მიხედონ სამუხრუჭო სისტემას, ანუ თავიანთ ყოფა-ქცევას და არ გაიხადონ თავი საცემად.

პატივისცემით

**რევაზ ტყემალაძე,**

საქართველოს დამსახურებული მშენებელი.

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

“მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ” ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების” შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| №№№№ | შპს „თერჯოლის ბუნებრივი აირი" | ქ.თერჯოლა, რუსთაველის ქ. №68ა | 8 292 4 44 61<br>877 905 336 | საყოფაცხ. 1 100 000<br>არასაყოფაცხ. 212 000 | საყოფაცხოვრებო 30,619<br>არასაყოფაცხოვრებო 62,521 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

„მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ” ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების” შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი №1 –ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი განაწილებული ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*). შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია ცხრილი № 1

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი მობ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა(კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით) |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1. | ს.ს.„ენერგოკავშირი” | ქ. თბილისი მუხიანი I მ/რ. კ. 13 | 64-28-69<br>energokavshiri@caucasus.net | საყოფაცხ: 5 700 00<br>არასაყოფაცხ: 300 000 | საყოფაცხ: 30.619<br>არასაყოფაცხ: 51.382 |

* - თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** - შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

- ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ: საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ. №26. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი დასახელება | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზი ტელ. № | საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა(კუბ.მ) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ) მომხმარებელთა კატეგორიის მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| | შპს. „ჩირაღდანი” | ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ. ცოდნისკარი | 899198137 | საყოფაცხოვრებო: 300 000 | საყოფაცხოვრებო: 30,619 |

## ინფორმაცია

### თევზაობის დროს დაიხრჩო

„რუსთავში მცხოვრები 35 წლის დავით ზუმბურიძე მარნეულის რაიონში, ქეშალოში თევზაობის დროს დაიხრჩო. გარდაცვლილი მამაკაცი, სავარაუდოდ, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ის მდინარის მეორე მხარეს ცდილობდა გადასვლას, რა დროსაც გულის შეტევა მიიღო. სამაშველო სამსახური ადგილზე გამოძახებიდან 20 წუთში მივიდა, თუმცა მამაკაცი მათ უკვე გარდაცვლილი დახვდათ.

### დააკავეს გამგეობის თანამშრომელი



„კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს კასპის გამგეობის თანამშრომელი, ვეტერანთა მომსახურების საკითხებში ნიკოლოზ ყაზარაშვილი. ამის შესახებ ტელეკომპანია „რუსთავი 2“ იუწყება.

სამართალდამცავების განცხადებით, დაკავებულმა ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის მიღებაში დახმარების სანაცვლოდ მოქალაქეს ქრთამის სახით გამოსძალა 600 ლარი.

### პირობით მსჯავრდებულებს ფულს სძალავდა

„სამართალდამცავებმა საქართველოს სასჯელაღსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პრობაციის ბიუროს ფოთის ოფიცერი ზურაბ ბირკაია დააკავეს.

არსებული ინფორმაციის თანახმად, დაკავებული პირობით მსჯავრდებულებს პრობაციის ბიუროში გამოცხადების დღეებთან დაკავშირებით შეღავათებს უწესებდა.

მსჯავრდებულებისთვის დაწესებული შეღავათების სანაცვლოდ ბირკაია მათ სისტემატურად სძალავდა 100 ლარს.

დანაშაული ითვალისწინებს 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

### დააყაჩაღეს მაღაზია

თბილისში, თევდორე მღვდლის № 47-ში მდებარე მაღაზია დააყაჩაღეს. მაღაზიიდან წაღებულია კომპიუტერი, სასურსათო პროდუქტები და 1500 ლარი.

არსებული ინფორმაციით, ყაჩაღებმა მაღაზიაში შესვლა ფანჯრიდან მოახერხეს.

მომხდართან დაკავშირებით, სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიმდინარეობს გამოძიება.

ჯი-ეიჩ-ენი

ინფორმაცია

## ბრალად ალტერნატიულ არჩევნებში მონაწილეობის მიღება წაუყენეს

„სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში თეიმურაზ ჯერაპანოვს გაასამართლებენ, მას სეპარატისტებმა ბრალად წაუყენეს 2006 წელს სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ალტერნატიულ არჩევნებში მონაწილეობა ეკონომიკის მინისტრის პოსტზე.

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, თეიმურაზ ჯერაპანოვის გუშინ დაგეგმილი ღია სასამართლო პროცესი გადაიდო.

ოსური მედია ამის მიზეზად ერთ-ერთი მოწმის გამოუცხადებლობას ასახელებს. მათივე ინფორმაციით, თეიმურაზ ჯერაპანოვზე ძებნა სეპარატისტებმა ჯერ კიდევ 2006 წელს გამოაცხადეს, ხოლო 2010 წელს დააპატიმრეს, როდესაც იგი ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსვლას ცდილობდა.

## თხუთმეტი ქართველი მეზღვაური ტყვეობაშია

„სომალელი მეკობრეების მიერ დაკავებული 15 ქართველი მეზღვაური კვლავ ტყვეობაში რჩება. საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორის სერგი კაპანაძის ინფორმაციით, ქართველი მეზღვაურების შესახებ ბოლო ინფორმაცია 11 სექტემბერს მიიღეს და ისინი თავს კარგად გრძნობენ.

— ჩვენი ინფორმაციით, მეკობრეები გამოსასყიდთან დაკავშირებით ჯერ არავის არ დაკავშირებიან და არც მათი განთავისუფლებისთვის თანხა არ დაუსახელებიათ. ბოლო ინფორმაციით, მეკობრეები დაკავებულ მესაზღვრეებთან ერთად სომალის სანაპიროზე მოძრაობენ“, — განაცხადა კაპანაძემ.

## სომხეთი ინტერნეტის გარეშე დარჩა

სომხური მედიის ინფორმაციით, მეორე დღეა რაც სომხეთს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ინტერნეტი არ მიეწოდება, ხოლო მეორე ნაწილს დაბალი სიჩქარის გამო ინტერნეტში შეღწევა უჭირს.

სომხური მედიის ინფორმაციით, აღნიშნულის მიზეზი საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი ოპტიკურბოჭკოვანი კაბელია, რომელიც სომხეთს გარესამყაროსთან აკავშირებს. სომხური წყაროების ინფორმაციით, ქართული მხარე ინტერნეტთან დაკავშირებული პრობლემების განმარტებას არ აკეთებს, თუმცა სომხეთში ირწმუნებიან, რომ კაბელი დაზიანებული არ არის.

ქართული პროვაიდერების განმარტებით, რომელიც სომხეთს ინტერნეტს აწვდის. ამ დროისათვის სომხეთის მიმართულებით შეფერხება არ არსებობს. კომპანია ფოპტნეტში „განაცხადეს, რომ მათი მხრიდან შეფერხება არ არსებობს და სომხეთი ინტერნეტს შეუფერხებლად იღებს. ხოლო რაც შეეხება „რკინიგზის ტელეკომს“ კომპანიაში განმარტავენ, რომ მარაბდა — კარწახის რკინიგზის მშენებლობისას კაბელი შემთხვევით გადაიჭრა, რომლის აღდგენაც დაუყოვნებლივ მოხდა და სომხეთს ინტერნეტის მიწოდება იმ დღესვე აღუდგა.

ჯი-ეიჩ-ენი

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1. | ს.ს ,,საგარეჯოგაზი" | ქ.საგარეჯო, ჯაფარიძის ქ.№2 | 04. (8251) 4- 22- 09 sagarejogas@socar.ge | საყოფაცხ. 6 400 000<br>არასაყოფაცხ. 1 600 000 | საყოფაცხოვრებო 31,669 - 44,125<br>არასაყოფაცხოვრებო 57,084 |

* — თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** — შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

— ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია:

ცხრილი № 1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი. კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | ს.ს „გურჯაანიგაზი“ | ქ. გურჯაანი სანაპიროს ქ. № 4 | 04, 2 25 84<br>895 336 977 | საყოფაცხ. 1 700 000<br>არასაყოფაცხ. 550 000 | საყოფაცხოვრებო 30,619–39,814<br>არასაყოფაცხ. 56,17 |

* — თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** — შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

— ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფონის ნომერი, მობილ. ნომერი, ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დ.ღ.გ.-ს გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| I | II | III | IV | V | VI |
| 1 | სს „ზუგდიდგაზი | ზუგდიდი, რუსთაველის 94 | 2-99-04<br>socargaszug@gmail.com | საყოფაცხოვრებო:1500000<br>არასაყოფაცხოვრებო:1300000 | საყოფაცხოვრებო 30,765-35,771<br>არასაყოფაცხოვრებო 52,717-61,442 |

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს.

აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | ს.ს „აზამგაზი" | ქაბაშა, ფრანგიშვილის ქ. №19 | 821 291 416 | საყოფაცხ. 150 000<br>არასაყოფაცხ. 100 000 | საყოფაცხ. 30,568 - 34,975<br>არასაყოფაცხ. 60,4 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

"მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ" ინფორმაცია წარმოადგენს საცალო მომხმარებლისათვის (მოსახლეობისა და გამანაწილებელ ქსელზე მიერთებული სხვა მომხმარებლისათვის) ბუნებრივი გაზის ფასის შეთავაზებას (ოფერტს) დამატებითი, განსაკუთრებული პირობების გარეშე, „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესების" შესაბამისად.

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს.

აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| #ССЫЛКА! | ს.ს "დედოფლისწყაროგაზი" | ქ.დ/წყარო,ხორნაბუჯის ქ.№18 | 8 256 2 50 04 | საყოფაცხ. 1 550 000<br>არასაყოფაცხ. 350 000 | საყოფაცხოვრებო: 30.619 - 39,051<br>არასაყოფაცხოვრებო. 57,696 - 60,238 |

* – თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** – შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

– ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

# ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შპს „ვაკე" | თეთრიწყარო, აღმაშენებლის ქ. №35 | 891 251 852 | საყოფაცხ . 530 000<br>არასაყოფაც. 76 500 | საყოფაცხოვრებო 31,669 - 34,43<br>არასაყოფაცხ. 51,37 |

## რაც თვალს არ გამოეპარა

# ემერჯენსი...

თქვენი (მომხმარებლის) მიმდინარე სამომხმარებლო ტარიფი სხვადასხვა კომპონენტებთან ერთად შედგება მიმწოდებლისა და განაწილების ლიცენზიატის მომსახურების კომპონენტებისაგან. მომხმარებელს, სურვილის შემთხვევაში, შეუძლია აირჩიოს და ბუნებრივი გაზის შესყიდვაზე გააფორმოს ხელშეკრულება იმ მიმწოდებელთან (ბუნებრივი გაზის გამყიდველთან), რომელიც უკეთეს პირობებს შესთავაზებს (მიუხედავად იმისა, ეწევა თუ არა აღნიშნული მიმწოდებელი მისთვის ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობას). ბუნებრივი გაზის გამანაწილებელი ქსელის მომსახურე კომპანიის (განაწილების ლიცენზიატის) არჩევა არ ხდება.

მიმწოდებლის არჩევისა და ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მიმწოდებელი (ბუნებრივი გაზის გამყიდველი) თვითონ უზრუნველყოფს ბუნებრივი გაზით თქვენს მომარაგებას იმ განაწილების ლიცენზიატის მეშვეობით, რომელიც ფლობს გაზგანაწილების ქსელს. განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია ხელი შეუწყოს მომხმარებელსა და ნებისმიერ გაზის მიმწოდებელს შორის ურთიერთობას.

თუ თქვენს მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს იმ მომსახურე კომპანიასთან (მიმწოდებელთან) ურთიერთობა, რომელიც ამჟამად გაწვდით ბუნებრივ გაზს (ახდენს ქვითრის გამოწერას არსებული, შეთანხმებული ფასით), წინამდებარე ინფორმაცია არ წარმოადგენს არსებული ურთიერთობების გადახედვის საფუძველს. აღნიშნული შეთავაზების საბოლოო ფასის განსაზღვრისთვის, ცხრილი № 1-ში თქვენთვის სასურველი მიმწოდებლის შეთავაზებულ ფასს ემატება თქვენი გამანაწილებელი ქსელის მომსახურე განაწილების ლიცენზიატის განაწილების ან გატარების ტარიფი (იხ. შენიშვნა*), შეთავაზება ძალაშია ამავე ფორმით სხვა შეთავაზებამდე.

1. საცალო მომხმარებელზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის შესახებ ინფორმაცია: ცხრილი №1

| № № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი | იურიდიული მისამართი | ცხელი ხაზის ტელეფ. ნომერი მობილ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ.) | **მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი ( დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მ.) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით |
|---|---|---|---|---|---|
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ |
| 1 | შ.პ.ს "სართიჭალა გაზი" | გარდაბნის რ-ნი, სოფ.სართიჭალა | 890 595 969 | საყოფაცხ. 630 000<br>არასაყოფაცხ. 155 000 | საყოფაცხოვრებო 30,619<br>არასაყოფაცხ. 53,857 - 63,602 |

* — თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი ეწევა ბუნებრივი გაზის განაწილების საქმიანობასაც, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი განაწილების ტარიფი, ხოლო თუ ბუნებრივი გაზის მიმწოდებელი და გამანაწილებელი სხვადასხვა პირია, მომხმარებელს დაერიცხება შესაბამისი განაწილების ლიცენზიატისთვის დადგენილი გატარების ტარიფი.

** — შეთავაზებული ბუნებრივი გაზის ღირებულებაში შედის ტრანსპორტირების მომსახურება (ტარიფი) გაზგამანაწილებელ ქსელამდე (განაწილების ან/და გატარების მომსახურების გარდა).

— ბუნებრივი გაზის განაწილების და გატარების ამჟამად მოქმედი ტარიფები დადგენილია კომისიის (სემეკის) 2005 წლის 30 დეკემბრის №30 დადგენილებით.

მიმწოდებელი ან გამანაწილებელი კომპანიის მხრიდან რაიმე სახის წინააღმდეგობის შემთხვევაში, მიმართეთ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას შემდეგ მისამართზე: ქ.ქუთაისი. ჩეჩელაშვილის ქ.№26.. ტელ: +995 231 4 42 81. ფაქსი: 995 231 4 42 02

## ინფორმაცია მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის ფასის შესახებ

| № | ბუნებრივი გაზის მიმწოდებლის დასახელება | მისამართი | ცხელი ხაზის ტელ. ნომერი ელ. ფოსტა | საცალო მომხმარებლებზე მისაწოდებელი ბუნებრივი გაზის მოცულობა (კუბ.მ) | ** მოხმარებული ბუნებრივი გაზის შეთავაზებული ფასი (დღგ-ის გარეშე თეთრი/კუბ.მეტრი) მომხმარებელთა კატეგორიების მიხედვით | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მიწოდების ტარიფი (ტრანსპორტირების ჩათვლით) | * განაწილების ან გატარების ტარიფი | * მოხმარების ტარიფი (C=A+B) |
| I | II | III | IV | V | VI | | |
| | | | | | A | B | C |
| 1 | შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" | თბილისი, ბურძგლას ქ. №56 | 437881 info@socar.ge | არასაყოფაცხოვრებო: 1) 345 000<br>2) 250 000<br>3) 60 000 | არასაყოფაცხოვრებო:<br>1) 60,63561<br>2) 59,36442<br>3) 52,16103 | 7,161 | 1) 67,79661<br>2) 66,52542<br>3) 59,32203 |

შენიშვნა: შპს "სოკარ ჯორჯია გაზი" ბუნებრივ გაზს აწვდის საშუალო წნევით, ხოლო უშუალო მომხმარებელს გაზი მიეწოდება შპს" აჭარის ბუნებრივი აირის" გამანაწილებელი ქსელის საშუალებით, რისთვისაც ვიხდით გატარების ტარიფს

შვილიშვილის სარჩელი

# იური მუხინი

# ასამართლებენ სტალინს

6. რუსეთში დღემდე მაინც არ გამოქვეყნებულა ყველაზე თვალსაჩინო, სიყალბის ხარისხის მიხედვით, № 1 „დახურული პაკეტი“ – ეგრეთ წოდებული ამონაწერი შელეპინისთვის. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ თავად გამომქვეყნებლებს შესანიშნავად ესმოდათ და ესმით მათ მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტების სიყალბე.

**განყოფილება II. ცნობების სარწმუნო წყაროებთან შეუსაბამობა**

7. № 1 „დახურული პაკეტის“ დოკუმენტებში ნათქვამია რაღაც „შინსახკომის სპეციალური სამეულის“ შექმნის შესახებ, რომელმაც თითქოს გამოუტანა პოლონელებს დახვრეტის განაჩენი. მაგრამ იმ პერიოდის სხვა, მართლაც ნამდვილი საარქივო დოკუმენტების მასაში, მინიშნებაც კი არაა აღნიშნული დოკუმენტების თანახმად შექმნილ არც „სამეულზე“, არც იმის შესახებ, თუ საერთოდ ვიღაც პოლონელები დახვრიტეს 1940 წელს სსრ კავშირში სასამართლოს გარეშე. საარქივო საქმის სპეციალისტის ა. კოზლოვის სიტყვებით, ეს დოკუმენტები *თავისი შინაარსის შეუსაბამობით „ფონს უქმნიან“ ნამდვილ ფაქტებს, რომლებიც ცნობილია ნამდვილი წყაროებიდან.*

8. იმ წლებში რეალურად მომუშავე სასამართლო სამეულებს ევალებოდათ გაესამართლებინათ, ესე იგი დაესაჯათ დამნაშავეები მათი პერსონალური დანაშაულის შესაბამისად და გაეთავისუფლებინათ უდანაშაულოები. „ბერიას წერილში“ კი სამეულს რაიმე სამართლის უფლება კი არ ეძლევა, არამედ ევალება დახვრიტოს პოლონელები. ესე იგი სამეულს არ განესაზღვრებოდა რეალური სასამართლო. ეს სამეული იყო წინასწარ დაგეგმილი ფიქცია, რომელიც არცხვენდა მისსავე მომფიქრებელ ავტორს. რეალური ბერია არასოდეს შესთავაზებდა პოლიტბიუროს მოეწყვიტათ რეალური საქმისგან შინსახკომის მაღალი თანამდებობის მუშაკები, თავისი თავის ჩათვლით, რათა მსხდარიყვნენ ისინი და მოეწერათ ხელი 22 ათას ქაღალდზე, რომლებსაც მათ გარდა ვერავინ იხილავდა.

9. სამეულის შექმნის დროს დაირღვა სასამართლოს სამეულის შექმნის პრინციპი – შინსახკომისა და სკპ (ბ)-ის პირველი პირების შემადგენლობით პროკურორის აუცილებელი მონაწილეობით.

10. სამეულში, როგორც კოლექტიურ ორგანოში, დარღვეულია თანაბარუფლებიანი წევრობის პრინციპი – შინსახკომის ორ მაღალი თანამდებობის პირს (სახალხო კომისარსა და მის პირველ მოადგილეს) დაემატა მესამეხარისხოვანი განყოფილების უფროსი. რეალურ სასამართლო სამეულებში დაუშვებელი იყოს სამეულის რომელიმე წევრის ხელქვეითის მონაწილეობა.

11. ბერიას არ შეეძლო შეეთავაზებინა სამეულის შექმნა, ვინაიდან ყველა სასამართლო სამეული გააუქმა წინა დღეებში სსრ კავშირის მთავრობისა და სკპკ ცენტრალური კომიტეტის ერთობლივმა დადგენილებამ, ე.ი. ყოველგვარი სამეული უკვე შეუძლებელი იყო სასამართლო კანონმდებლობის თვალსაზრისით. აღნიშნული ერთობლივი დადგენილების შემდეგ ვერც ერთი შემსრულებელი ვერა თუ ვერ დახვრეტდა ვინმეს, ვერც დააპატიმრებდა. უკანონო სამეულის მითითებით, რომელიც საჯაროდ აიკრძალა სსრ კავშირში მთავრობისა და პარტიის მიერ.

12. თუ ჩავთვლით, რომ № 1 „დახურული პაკეტის“ ეს დოკუმენტები ნამდვილია, მაშინ სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი გადააჭარბებდა თავის უფლებამოსილებას – მიეღო გადაწყვეტილება სამეულის შექმნის შესახებ, თუმცა პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ – ცენტრალურმა კომიტეტმა – ის გააუქმა. ასეთი რამ სრულიად წარმოუდგენელია. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს (საბჭოთა კავშირის მთავრობის) და სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1938 წლის 17 ნოემბრის დადგენილებაში ნაბრძანები იყო: *„გაუქმდეს სასამართლო სამეულები, რომლებიც შეიქმნა სსრ კავშირის შინსახკომის განსაკუთრებული ბრძანებების წესით, აგრეთვე მილიციის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური მილიციის საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სამმართველოებთან შექმნილი სამეულები. ამიერიდან ყველა საქმე სამართალს დაქვემდებარების შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან სრული შესატყვისობით განსახილველად გადაეცეს სასამართლოებს ან სსრ კავშირის შინსახკომთან შექმნილ განსაკუთრებულ თათბირს“.*

13. № 1 „დახურული პაკეტის“ დოკუმენტებში სრულიადაც არ არის გათვალისწინებული ის 395 ოფიცერი, პოლიციელი და მესაზღვრე, რომლებიც ტყვეების ძირითადი მასის შრომა-გასწორების ბანაკებში გაგზავნასთან ერთდროულად გაიგზავნენ სამხედრო ტყვეების ბანაკში იუხნოვში და შემდეგ გრიაზოვეცში.

14. „დოკუმენტებში“ ჩადებული „პოლიტბიუროს გადაწყვეტილების“ შესრულება შეუძლებელი იყო: თვითგადარჩენის ელემენტარული გრძნობის გამო მისი გარემოცვა მოძებნიდა საშუალებას თავი აერიდებინა სახალხო კომისრის წინასწარგანზრახული დანაშაულებრივი ბრძანების შესრულებისთვის. თავისი უფროსის 1937-1938 წლების დანაშაულებრივი ბრძანებების სწორედ შესრულების გამო რომ დაიხვრიტნენ სახალხო კომისრის პოსტზე ბერიის წინამორბედის – იაგოდას დაახლოებული პირები. განსახილველ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე, 1940 წლის 4 თებერვალს იგივესთვის დაიხვრიტნენ ბერიას მეორე წინამორბედის – ეჟოვის მოადგილეები. სსრ კავშირში პოლონელი ტყვეების შესახებ იცოდა მთელმა მსოფლიომ, და ვერავინ შინსახკომის უმაღლეს ხელმძღვანელობაში ვერ გაბედავდა, შეესრულებინა კანონსაწინააღმდეგო ბრძანება მათი დახვრეტის შესახებ, რომელიც მოვიდა ბერიასგან, ვინც შინსახკომში იმუშავა სულ წელიწადნახევრის განმავლობაში, აქედან სახალხო კომისრის პოსტზე – თხუთმეტ თვეზე ოდნავ მეტი.




**განყოფილება III. შინაგანი დაპირისპირებანი**

15. „ბერიას წერილში“ დაყენებულია საკითხი, დაიხვრიტოს ყოფილი პოლონეთის 25700 მოქალაქე, „შელეპინის წერილი“ კი იტყობინება, რომ თითქოს დაიხვრიტა მხოლოდ 21 867 კაცი. არანაირი განმარტება არაა იმის შესახებ, თუ რა საფუძველზე არ დაიხვრიტა უსიტყვო დახვრეტისთვის განწირული 3843 კაცი.

16. „ბერიას წერილში“ „საბჭოთა ხელისუფლების გამოუსწორებელ მტრებად“ გამოცხადებულია 14 736 ოფიცერი და 18632 პატიმარი, მაგრამ დასახვრეტად განსაზღვრულია პირველებიდან 14700 და 11000 მეორედან აუხსნელად, თუ რა უნდა უყონ დანარჩენ „გამოუსწორებელ“ მტრებს და როგორ გავარჩიოთ ერთნი მეორისგან. ასეთი გადაწყვეტილებით სამეულის უფლებამოსილებანი გადაეცემოდა უშუალოდ შემსრულებლებს ადგილებზე, და მათ დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტათ, თუ კერძოდ ვის მიუსაჯონ დახვრეტა, რაც უაზრობაა და რაც ბერიას რეალურ წინადადებაში არც შეიძლებოდა ყოფილიყო.

17. „ბერიასთვის ამონაწერის“ მეორე გვერდის შენიშვნის თანახმად, 1940 წლის 5 მარტიდან 1956 წლის 15 ნოემბრამდე პერიოდში, გაურკვეველი მიზნით, გადაიბეჭდა ამონაწერის ორი დამატებითი ეგზემპლარი, 1956 წლის 15 ნოემბერს ორი ეგზემპლარი გაანადგურეს.

ახლა კი გადავიდეთ შემდეგი ნიშნების – № 1 „დახურული პაკეტიდან“ თითოეული დოკუმენტის სინამდვილის ინდივიდუალური ნიშნების განხილვაზე.

**განყოფილება IV. „ბერიას წერილი“ № 794/ბ**

18. ფორმალურ-იურიდიული თვალსაზრისით, „ბერიას წერილი“ № 794/ბ ყალბია თავისი მთავარი ატრიბუტების-თარიღისა და ნომრის – ელემენტარული შეუსაბამობის გამო. ოფიციალური რეგისტრაციის თანახმად ხომ, სტალინს შინსახკომიდან გაეგზავნა წერილი № 794/ბ 1940 წლის მარტში, თუმცა რიცხვის მიუთითებლად. ამ სიტუაციის უაზრობის გასაგებად, წარმოიდგინეთ მოქალაქე, რომლის პასპორტიც შევსებულია შეცდომებით და გაცემის თარიღად მინიშნებულია მარტი, ხოლო შინაგან საქმეთა განყოფილების ჩანაწერების მიხედვით შემოწმების დროს ირკვევა, ეს პასპორტი გაცემულია თებერვალში!

19. „ბერიას წერილზე“ რეზოლუცია და პოლიტბიუროს წევრების ხელმოწერები ისეა დადებული, რომ „წერილის“ სტრიქონები ხელმოწერების დროს უნდა ყოფილიყო ვერტიკალურ მდგომარეობაში. არცერთი ხელმძღვანელი, თუ ის ცაცია არაა, ხელს ასე არ მოაწერს.

20. „ბერიას წერილს“ აქვს ნომერი უთარიღოდ. ნამდვილ დოკუმენტში ასეთი რამ შეუძლებელია, ვინაიდან ეს არის რეგისტრაციის ჟურნალის ჩანაწერი, თანაც თარიღი ნომერზე უფრო მნიშვნელოვანია.

21. „ბერიას წერილში“ გენერლები გაერთიანებული არიან ერთ სტრიქონში ვიცეპოლკოვნიკებთან, შინსახკომის ნამდვილ დოკუმენტში არ შეიძლებოდა – შინსახკომის ყველა ნამდვილ დოკუმენტში გენერლები შეჰყავდათ ცალკე სტრიქონად და მათ არ აერთიანებდნენ პოლკოვნიკებთანაც კი.

22. უშიშროების ფედერალური სამსახურის საარქივო სამსახურის ცნობის თანახმად, წერილი № 794/ბ რეგისტრირებულია შინსახკომის სამდივნოში 1940 წლის 29 თებერვალს. ბერიას ნამდვილ წერილში 29 თებერვალს ვერ მოხვდებოდა მონაცემები სოპრუნენკოს 3 მარტის ცნობიდან, რომელიც წარმოდგენილია „ბერიას წერილში“ № 794/ბ ამ მონაცემებით. ცხადია – გაყალბებაა.

23. „ბერიას წერილის“ პირველი სამი გვერდი არ არის დაბეჭდილი იმ საბეჭდ მანქანაზე, რომელზეც დაბეჭდილია მეოთხე გვერდი (საექსპერტო დასკვნა თან ერთვის). სასამართლოს ესმის, რომ შინსახკომის ნამდვილ წერილში ასეთი რამ არ შეიძლებოდა მომხდარიყო, ვინაიდან დოკუმენტის დასაწყისის შეცვლა მას შემდეგ, რაც მას ხელი მოაწერა სახალხო კომისარმა – ეს ნიშნავს, ჩაიდინო დანაშაული.

24. მეოთხე გვერდი დაბეჭდილია საბეჭდ მანქანაზე, რომელსაც იყენებდნენ ბერიას სხვა, უსათუოდ ნამდვილი წერილებისთვის, პირველი სამი გვერდი კი – მანქანაზე, რომლის შრიფტიც ვერ აღმოაჩინეს ვერც ერთში არქივებში აღმოჩენილი თხუთმეტიდან და დღემდე შემოწმებულ ბერიას წეირლებში 1939 წლის დეკემბრიდან 1940 წლის სექტემბრამდე.

ეს უკანასკნელი ვითარება განმარტავს ამ წერილის გაყალბების ყველაზე საალბათო ხერხს.

სავარაუდოდ გამყალბებლებმა არქივიდან აიღეს ბერიას 1940 წლის 29 თებერვლის წერილი № 794/ბ წინადადებით – დასაჯონ პოლონელები შინსახკომთან არსებულ განსაკუთრებულ შრომით ბანაკებში სხვადასხვა ვადით. გამყალბებლებმა გაანადგურეს პირველი გვერდები და მათ ნაცვლად გადაბეჭდეს სამი ახალი გვერდი, თან გადააკეთეს ისინი ისე, თითქოს ბერია ითხოვდეს ტყვეების დახვრეტას. ამის შემდეგ სამ ყალბ ფურცელს მიუმატეს მეოთხე, ნამდვილი გვერდი, რომელშიც ბერია სთავაზობდა განსაკუთრებული თათბირის რაოდენობრივ (სამეულის) და პერსონალურ (ბერია, მერკულოვი, ბაშტაკოვის) შემადგენლობას. განსაკუთრებული თათბირის შესახებ დებულების თანახმად, მისი რაოდენობრივი და პერსონალური შემადგენლობა ვალდებული იყო შეცვლილი ხოლმე განსახილველი საქმეების სახეობის შესაბამისად. თუ მოვლენა ხდებოდა მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე, მაშინ თათბირის წევრი იყო ამ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, თუ საქმე იყო წმინდა წყლის სისხლის სამართლისა, მაშინ განსაკუთრებული თათბირის წევრი იყო მილიციის სამმართველოს უფროსიც. ამ შემთხვევაში ბერია სთავაზობდა განსაკუთრებულ თათბირს შემცირებული – სამი კაცის შემადგენლობით – სამეულს. ის სთავაზობდა თავის თავს თავმჯდომარედ (დებულებით განსაკუთრებული თათბირის თავმჯდომარე ის იყო), თავის პირველ მოადგილეს და განყოფილების უფროსს, რომელიც ამზადებდა სამხედრო ტყვეების საქმეებს. ბერიას წინადადება ლოგიკური იყო, მაგრამ მაინც სცილდებოდა დებულების არსს – დებულებაში პირველი სპეცგანყოფილების უფროსი, როგორც ამ თათბირის წევრი, არ იყო მითითებული, რის გამოც ბერიამ შეათანხმა კიდეც პოლიტბიუროს თავისი წინადადება.

მაგრამ პოლიტბიურო მის ლოგიკას არ დაემორჩილა – მან დაუშვებლად მიიჩნია, რომ თავად სახალხო კომისარი კარგავდეს დროს ამ შემთხვევაში ლამის ორ ათეულ ათას სისხლის სამართლის საქმეზე. ამიტომ სტალინმა ამოშალა ბერია სიიდან და მის ნაცვლად განსაკუთრებული თათბირის თავმჯდომარედ დატოვა შინსახკომის სახალხო კომისრის პირველი მოადგილე მერკულოვი და დაუმატა ქობულოვი – შინსახკომის მთავარი ეკონომიკური სამმართველოს უფროსი. თანაც სტალინმა ქობულოვის გვარი ამოშლილი ბერაის გვარის ზევით კი არ დაწერა – ასე გამოვიდოდა ქობულოვი იქნებოდა თავმჯდომარე, არამედ ჩაწერა ის მერკულოვის შემდეგ ბაშტაკოვის წინ...

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 155-168.

## ჩვენი ბიბლიოთეკა

კაცთა მოდგმა მარადიულად დაწაფებულია ამ დაუშრომელ ბინულს, და როს ირგვლივ გაიძახიან, მორჩა, ყველაფერი დამთავრებულიაო, მაინც პოულობს გადარჩენის ხერხს რასმე. ის გადარჩა, როცა მაიმუნთ ხეთაგან ჩამორეკეს ადამიანის ძენი, როცა წარღვნამ წალეკა დედამიწა. და მაშინაც გადარჩება, როცა უკლებლივ ყოველნი მზადებას დაიწყებენ საბოლოო კატასტროფისთვის.

ჩვენ პასუხს ვაგებთ სრულიად მკვიდროვანისთვის, ანუ სრულიად სოფელ-ქვეყნისთვის, რამეთუ ჩვენ თავად ვართ ეს მკვიდროვანი, ეს სოფელ-ქვეყანა.

და რაც უფრო მეტ დროს ატარებდა ბრიდა უიკასთან ურთიერთობაში, მით უფრო ძალუმად გრძნობდა ამ ქალის პირწყლიანობას, სილამაზეს.

უიკა განაგრძობდა მთვარის ტრადიციაში ბრიდას დამოძღვრას. ერთხელაც ორლესული სატევრის შეძენა უბრძანა, თანაც უსწორო მოყვანილობისა უნდა იყოსო. ცეცხლის ენას უნდა ჰგავდესო. ქურდი, თეთრალიანი ცეცხლის ენასაო. ბრიდამ უამრავი მაღაზია და ანტიკვარული სავაჭრო მოიარა, მაგრამ ვერცრა მსგავსი ვერა იშოვა რა. ბოლოს ისევ ლორენსი წაეშველა – მან თავის უნივერსიტეტელ კოლეგას, ქიმიკოსსა და მეტალურგს სთხოვა იმ საძიებელი ორლესულის დამზადება. მერე ხის კოტა თვითონ მოახელკეთილა და ძღვნად მიართვა ბრიდას, რითაც უთხრა, პატივს მივაგებ შენეულ ძებნაძიებასო.

უიკამ დაამწყალობნა, აკურთხა სატევარი, რის გამოც რთული რამ რიტუალი შეასრულა: სატევრის პირზე ნახშირით რაღაც იდუმალ ნიშანთ ხაზავდა, ზედ ხის კოვზს აკაკუნებდა, შელოცვას შელოცვაზე წარმოთქვამდა. რიტუალს რომ მორჩა, აუხსნა, სატევარი ხელის გაგრძელებად უნდა იქცესო, სატევრის პირზე კი ტან-სხეულის მთელი ძალ-ღონე უნდა დაგროვდესო. დიახაც ამად ფერიები ჯადოსნურ ჯოხთ იყენებდნენო, ხოლო მოგვნი მახვილს საჭიროებენო.

ბრიდამ ნახშირი და ხის კოვზი რომ გაიკვირვა, უიკამ აუხსნა, იმ დროს, ოდეს კუდიანთ სდევნიდნენ და კოცონზე წვავდნენ, ისინი გრძნებისთვის ძალაუნებურად ისეთ რასმე რაგინდარა სახლის ჭურჭელს გაისახმარებდნენ, მერმე ადვილად რომ გაასაღებდნენ საციქვლად ანდა ჩვეულებრივ რამ ნივთადო. ამ ჩვეულებამ მრავალი საუკუნის წიაღ გამოიარა და ბევრი რამე, რასაც ძველები იყენებდნენ, თანდათან დაიკარგაო.

ბრიდამ საკმევლის კმევაც ისწავლა და სატევრით წრეწირთა მოხაზვაც. იყო კიდევ ერთი რიტუალი, რომელიც ყოველთვის უნდა შეესრულებინა, თუ მთვარე ფაზას იცვლიდა: წყლით სავსე ფინჯნით ფანჯარასთან უნდა მიხვიდე, ასწავლიდა უიკა, და დაელოდო, მთვარე წყლის ზედაპირზე როდის აირეკლებაო: მერმე ისე წაიხარო და დახედო ფინჯანს, რომ შიგ შენი სახის ანარეკლიც დაჩნდესო, თანაც მთვარე შენი შუბლის შუაში უნდა მოექცესო. ამის შემდგომ, უკიდურესად ჩაგულისყურებულმა, წყალს სატევრის წვერი უნდა ჩაჰკრა და ანარეკლნი განაცალკეოო. მერმე კი უმალ უნდა შესვა, რაც ფინჯანში წყალია, და მაშინ მთვარის ძალა შენში ზრდას დაიწყებსო.

– ეგ ყოველივე სრული უაზრობა მგონია, – თქვა ბრიდამ.

უიკას განსაკუთრებული რამ მნიშვნელობა არ მიუნიჭებია ბრიდას სიტყვებისთვის, თავის დროზე თვითონაც აგრე მიაჩნდა. ოღონდ კვლავ შეახსენა თავის მოწაფეს იესოს სიტყვები იმის თაობაზე, თუ რაღაც როგორ ღივდება ადამიანში ისე, რომ თვითონ ის ვერც ამჩნევს.

– მნიშვნელობა არა აქვს, აქ აზრი არის თუ არა, – დასძინა მან. – ღამის წყვდიადის ამბავი გაიხსენე. ოღონდ რაც უფრო ხშირად იზამ ამას, მით უფრო გაგიმყარდება ძველ ხალხთან კავშირი. მერე რა ვუყოთ, თუ თავდაპირველად ვერ გაიგებ, რა ხდება – ძველი ხალხის ხმას მარტო შენი სული შეისმენს. ერთ მშვენიერ დღეს წასულთა ხმები კვლავ გაიღვიძებენ.

მაგრამ ბრიდას მხოლოდ ხმების გაღვიძება არ უნდოდა – სხვა ნაწილის შეცნობას ესწრაფოდა. ოღონდ უიკასთან ამის განხილვას არ ეპირებოდა.

იმან კი მკაცრად აუკრძალა ფიქრით წარსულში დაბრუნება. ეგაო, უთხრა, აუცილებელი მხოლოდ უიშვიათეს შემთხვევაში ხდებაო.

– ნურც ბანქოს გამოიყენებ იმისთვის, რათა მომავალი განჭვრიტო, ბანქო მარტოოდენ უტყვი, უსიტყვო ზრდისთვის თუ გამოდგება, რომელი ზრდაც არც გონებით შეიცნობა, არც ლოგიკით გაიაზრება.

ბრიდა ვალდებული იყო, რომ კვირაში სამჯერ გაეშალა ტაროს ბანქო და ჩაეხედა. მოჩვენებანი ყოველთვის არა ჩნდებოდნენ, ხოლო თუ გამოჩნდებოდნენ, უმეტესწილად გაგება არ შეიძლებოდა, ვინ იყვნენ, რანი იყვნენ. როცა მან ამის გამო უიკას შესჩივლა, იმან პასუხი არ დაუყოვნა, ეგეთი სურათების აზრი იმზომ ღრმად იდუმალია, მე თვითონაც ვერ ამომიცნიაო.

– ჩემი ბედ-იღბლის წიგნის წაკითხვა ვითომ რატომ არ შემიძლია?

– მხოლოდ აწმყოს აქვს ჩვენს ცხოვრებაზე ბატონობის უფლება. როცა შენ ბანქოს კვალობაზე ცდილობ შენი ბედ-იღბლის გამოცნობას, მაშინ მომავალი აწმყოში გადმოგაქვს. და თავს ხიფათში იგდებ, ვინაიდან აწმყოს მომავლის არევ-დარევა ძალუძს.

კვირაში ერთხელ ისინი ტყეში სადმე მიდიოდნენ, და უიკა იქ მცენარეთა ათასგვარ საიდუმლოს აცნობდა ბრიდას. უიკასთვის ამ ქვეყანაზე ყველაფერს – მეტადრე კი მცენარეულობას – ზედ ღვთისგან ასო-ასო ეწერა თავ-თავისი მნიშვნელობა. ზოგ-ზოგ ფოთოლს გულის მოყვანილობა ჰქონდა და გულის სნეულებათა წამალი იყო. ზოგ-ზოგი ყვავილი ადამიანის თვალს წააგავდა და მხედველობას აუმჯობესებდა. ბრიდა თანდათან რწმუნდებოდა, რომ ბევრი მცენარე მართლაც უჩვეულოდ იყო დამსგავსებული ადამიანის ტან-სხეულსა და ასოობას, ხოლო ხალხური მედიცინისა და სამკურნალო ბალახეულის სქელ წიგნში, კარაბადინად სახელდებულში, რომელიც ლორენსმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკიდან გამოუტანა, იმის დადასტურებაც მოიძია, რომ გლეხნი და გრძნეულნი მართალნი იყვნენ.

– უფალს თავისი აფთიაქი ტყეში აქვს, – თქვა ერთხელ უიკამ, დაღლილნი მუხლთ ხის ქვეშ ქარს რომ აღებინებდნენ, – რა არი სუყველა ადამიანი ტანმრთელი იყოს.




ბრიდამ იცოდა, რომ თავის მოძღვარს სხვა არა ერთი და ორი მოწაფეც ჰყავდა, მაგრამ არც ერთს არცროდის იმასთან შინ არ შეხვედროდა – დანიშნულ საათზე ძაღლი უეჭველად ყეფას იწყებდა, წასვლის დროაო, იტყობინებოდა. თუმცა ერთხელ კიბეზე მაინც შეეჩეხა მავან შუახნის ქალს, მეორედ – დაახლოებით თავისივე ასაკის ყმაწვილქალს, მერე კი ვიღაც სამუშაოტანსაცმლიან მამაკაცს გადააწყდა – ბრიდა აყურადებდა ამ ადამიანთა ფეხის ხმას და სიძველისგან დაპაპრულდამსკდარი ხის კიბის ჭრიალზე შეუმცდარად იაზრიკვალა გეზი – ისინი უიკასთან დადიოდნენ ბინაში.

ერთხელაც გაბედა და ჰკითხა, ეგენი ვინ არიან, ვინ დადის შენთანო.

– გულთმისნობის ძალა ნადური ძალაა, – მიუგო უიკამ. – არაერთი მადლი, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭი იცავს ენერგიას, არ აძლევს გამოლევის საშუალებას. ერთი დამოკიდებულია მეორეზე.

და აუხსნა, სულ ცხრა სახის მადლი, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭი, არსებობსო, და როგორც მზის ტრადიციამ, ისე მთვარის ტრადიციამ ყოველი ღონე იღონეს და იზრუნეს, რათა საუკუნეთა წიაღ ცხრავეს ჩვენამდე მოეღწიაო.

– არ მეტყვი, ეგ რა ცხრა მადლია, ანუ რა ცხრა ზეგარდმო ბოძებული ნიჭი?

უიკამ პასუხად სიზარმაცე უსაყვედურა ბრიდას: სუყველა კითხვაზე ერთბაშად გინდა პასუხიო, არადა ნამდვილ გრძნეულს ყველანაირი სულიერი ძებნა-ძიება იტაცებსო, რანაირიც კი ამიერ ქვეყანაზეაო. და წმინდა წერილის წაკითხვა დაავალდებულა („იქ ჭეშმარიტი სიბრძნეა დაფარულიო“), კორინთელთა მიმართ პავლე მოციქულის პირველი წერილიდან შეიტყვე სუყოველი მადლის, ანუ ზეგარდმო ბოძებული ნიჭის ამბავიო. და ბრიდამ ცხრავე მადლი, ანუ ნიჭი აღმოაჩინა – ნიჭი სიბრძნისა, შეცნობისა, რწმენისა, განკურნებისა, სასწაულმოქმედებისა, წინასწარმეტყველებისა, ენებისა, სულებთან ლაპარაკისა, ახსნა-განმარტებისა.

და მიხვდა მაშინ ბრიდა, რა მადლსაც, ანუ რა ზეგარდმო ნიჭსაც ეძებდა. ეს სულებთან ლაპარაკის ნიჭი იყო, იგივ მადლი, რაც ცით ოდენ ღვთივრჩეულთ ეძლევათ.

უიკამ ცოტა ხანში ცეკვაც შეასწავლა ბრიდას. ხშირად ეუბნებოდა: ტან-სხეული სოფელქვეყნისეულ ხმიანობას ხმაშეწყობილი და ფეხშეწყობილი უნდა მოძრაობდესო, აგრეთვე მუდმივად შეხმატკბილებული უნდა იყოს ჰაერის ოდნავ შესამჩნევ რხევასთან და ოდნავ საგრძნობ თრთოლასთანო. არცრა საგანგებო რამ უნარი თუ მოხერხება არ არის საჭირო – როგორც მოგეპრიანოს, ისე იმოძრავეო. თუმცა ბრიდას კარგა გვარიანი ოფლის ღვრა დასჭირდა, სანამ ამ, ლოგიკას მოკლებულ, ნაირგვარ მოძრაობათა მორჩილს გაიხდიდა ტან-სხეულს.

– ფოლკელმა მოგვმა უკვე აგიხსნა და განგიმარტა, რა არის ღამის წყვდიადი. ორივე ტრადიციის შესაბამისად, – სინამდვილეში ერთიც იგივეა, რაც მეორე, – ღამის წყვდიადი ზრდის ერთადერთი ხერხია. როცა გრძნების გზას დაადგები, უფრო სწორად, როცა გრძნებაში შთაინთქმები, ყველაზე მთავარი, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ მთელი არსებით მიენდო, ძირისძირობამდე ერწმუნო გრძნებას. ამ გზაზე შემდგარნი ისეთს რასმე შევხვდებით, რის გაგებასაც ვერცროდის ვერ მოვახერხებთ. – ეუბნებოდა უიკა ბრიდას. – და ვერც იმ ლოგიკას ვიპოვით რამეში, რომელსაც მიჩვეულნი ვართ. საგანი იქნება თუ მოვლენა, გონებით კი არა, გულით უნდა ჩავწვდეთ არსში, და ამან იქნებ თავზარიც დაგვცეს. და ხანგრძლივი დროის მანძილზე მოგზაურობა ღამის წყვდიადში შთანთქმად მოგვეჩვენება. მაგრამ ყოველგვარი ძებნა-ძიება უწინარესად რწმენის ძალისხმევაა.

ხოლო ღმერთი, რომლის ჩაწვდომაც კიდევ ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე ღამის წყვდიადისა, შეგვიფასებს ჩვენს გამოვლილ გზას, – განაგრძობდა უიკა. – და ხელჩაკიდებულთ საიდუმლოს წიაღ გაგვატარებს.

მოგვზე რომ ლაპარაკობდა, უიკას სიტყვებში არ იგრძნობოდა არცრა ბოღმა, არცრა გამწარება, არცრა წყენა. და ბრიდა უიკას თვალებისდა კვალად მიხვდა, რომ ცდებოდა: აშკარა იყო, რომ ამ ორ ადამიანს არცროდის სიყვარული არ აკავშირებდა. როგორც ჩანს, ის ძველი გაღიზიანებაც მხოლოდ იმიტომ გაჩნდა, რაკი ერთმანეთისგან განსხვავებულ გზებს იყვნენ აღევნებული. გრძნებისმოქმედნი და მოგვნი ამპარტავანი და ცუდმედიდი ხალხია: თითოეულს იმის დამტკიცება უნდა მეორისთვის, ჩემი ძებნა-ძიება უფრო სწორია და ნაღდიაო.

ბრიდა უცებ გაერკვა, რაზეც ფიქრობდა.

არა, უიკა შეყვარებული არ იყო, თვალებში აშკარად ეკითხებოდა, რომ მოგვი გულში არა ჰყავდა ჩავარდნილი.

ბრიდას ფილმებიც ჰქონდა ნანახი და წიგნებიც წაკითხული, სადაც ეს თვალების ამბავი იყო მოთხრობილი. თვალებისდა მიხედვით ყველას შეეძლო შეტყობა, რა ვნებასაც შეეპყრო ადამიანი.

„სულ უბრალო რასმე მხოლოდ იმის შემდეგ ვხვდები, რთული რამ ტვინს რომ ამირევს ხოლმე“, – გაიფიქრა ბრიდამ. ალბათ, დადგება ის დღე, როცა ესეც შეძლებს მზის ტრადიციის მიყოლას.

შემოდგომა უკვე იწურებოდა, და სიცივე აუტანელი ხდებოდა, უიკამ რომ დარეკა და თქვა:

– ტყეში შევხვდებით. ორი დღე-ღამის შემდეგ, მთვარის განახლების დღეს, დაბინდებამდე, – და ყურმილი დადო.

და მთელი ეს ორი დღე-ღამე ბრიდა სულ იმის ფიქრში იყო, რას მოუტანდა ეს შეხვედრა. იდგა და ბეჯითად ასრულებდა უკვე ჩვეულებად ქცეულ რიტუალთ, თუ ცეკვავდა, მხოლოდ სოფელ-ქვეყნისეულ ხმიანობას აყოლილი ცეკვავდა, და ამასთანავე მუდამ ერთსა და იმავეს ფიქრობდა: „მუსიკის აყოლა მერჩივნაო“. თუმცა თითქმის ფეხებშეწყობილი იყო ამ სოფელქვეყნისეულ ხმიანობასთან, ამ უცნაურ რხევა-თრთოლასთან, რაც ბევრად უფრო მკაფიოდ იგრძნობოდა ღამით ანდა ცარიელ ეკლესიათა მდუმარებაში. უიკამ ჯერ კიდევ კარგა ხნის წინათ უთხრა, სოფელქვეყნისეული მუსიკის ხმაზე ცეკვისას სული უკეთესად ეწყობა და ეხამება ტან-სხეულს და დაძაბულობა სუსტდებაო, და, მართლაც, ბრიდა უკვე ამჩნევდა, რომ ადამიანები ისე დადიოდნენ ქუჩაში, არ იცოდნენ, სად წაეღოთ ხელები, არც მხრებს ანძრევდნენ, არც თეძოებს. და ძალიან მოუნდა ყმაწვილქალს, რომ სუყოველი შემხვედრისთვის ესწავლებინა ეს სოფელქვეყნისეული თითქმის უხმო ჰანგი: უკეთუ ეს ადამიანები ამ ჰანგის ხმაზე თუნდაც სულ რამდენიმე წუთს იცეკვებდნენ დღეში, ტან-სხეულთ გაილაღებდნენ და ლოგიკისგან დაიხსნიდნენ, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო უკეთესად იგრძნობდნენ თავს.

გადმოაქენა
**გურამ გოგიაშვილმა.**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152-166, 168-169.**

ჭიდაობა

# ორ ბრინჯაოს დასჯერდნენ




**მოსკოვში დამთავრდა თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა მსოფლიოს ჩემპიონატი. „კლასიკოსებისგან“ განსხვავებით, ზაზა თურმანიძის შეგირდებმა ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.**

96 კილოგრამ წონით კატეგორიაში მესამე ადგილს დასჯერდა პეკინის ოლიმპიადის პრიზიორი გიორგი გოგშელიძე. ძირითად ბადეში მან იოლად სძლია ბერძენ იოანის პაპადოპულოსსა და პოლონელ რადოსლავ ბარანს, მაგრამ მესამე წრეში რუს ჰაჯიმურატ




გაცალოვთან დამარცხდა. დამამშვიდებელ წრეში ქართველმა ფალავანმა სომეხ ედგარ იენოკიანსა და ირანელ არფან მორადალი ამირას აჯობა და მესამე ადგილზე გავიდა. მსგავს წარმატებას მიაღწია მძიმე წონაში ლევან ბერიანიძემ, რაც დებიუტანტისგან სასიამოვნო სიურპრიზი იყო. ლევანმა ზედიზედ დაამარცხა პოლონელი ვლადისლავ ბარტნიკი, ყაზახი ოლიმპიური პრიზიორი მარად მუტალიბოვი, შარშანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ვიცე-ჩემპიონი, ირანელი ფარდიან მასები ვალადი, ნახევარფინალური პაექრობა კი მომავალ ჩემპიონთან რუს ბილიალ მახოვთან დათმო. ბრინჯაოსთვის დაპირისპირებაში უნგრელი დანიელ ლიგეტი დაჯაბნა. დანარჩენი ქართველი ფალავნები კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური



**ეროვნული ჩემპიონატი. IV ტური.** „ოლიმპი“ – „ცხინვალი“ 2:0 (ბერიაშვილი, გეწაძე), „კოლხეთი“ – „დინამო“ 1:3 (გვალია; ხმალაძე, კოშკაძე, მუჯირი), „ბაია“ – „ზესტაფონი“ 2:1 (მეგრელაძე – 2; წინამძღვრიშვილი), „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:0, „სამტრედია“– „ტორპედო“ 1:0 (კაკალაძე).

**სატურნირო მდგომარეობა:** „დინამო“, „ოლიმპი“, „ვიტ ჯორჯია“, „ბაია“ - 7-7, „ზესტაფონი“ – 6, „კოლხეთი“, „სიონი“ – 5-5, „სამტრედია“, „ცხინვალი“ – 4-4, „ტორპედო“ – 2 ქულა.



**15 სექტემბერს ითამაშებენ:** „ზესტაფონი“ – „ტორპედო“, „დინამო“ – „ცხინვალი“, „ბაია“ – „სიონი“, „ოლიმპი“ – „ვიტ ჯორჯია“, „კოლხეთი“ – „სამტრედია“.

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „უდინეზე“ 2:1, „იუვენტუსი“ – „სამპდორია“ – 3:3, „ჩეზენა“ – „მილანი“ 2:0, „კალიარი“ – „რომა“ 5:1.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ჰერკულესი “ 0:2, „რეალი“ – „ოსასუნა“ 1:0, „ბილბაო“ – „ატლეტიკო“ 1:2, „ვალენსია“ – „რასინგი“ 1:0.

**ინგლისი.** „ვესტ ჰემი“ – „ჩელსი“ 1:3, „ევერტონი“ – „მანჩესტერი“ 3:3, „არსენალი“ – „ბოლტონი“ 4:1, „ბირმინგემი“ – „ლივერპული“ 0:0.

**გერმანია.** „ბაიერნი“ – „ვერდერი“ 0:0, „ჰოფენჰაიმი“ – „შალკე“ 2:0, „ჰამბურგი“ – „ნიურნბერგი“ 1:1, „ჰანოვერი“ – „ლევერკუზენი“ 2:2.

**საფრანგეთი.** „მარსელი“ – „მონაკო“ 2:2, „ნიცა“ – „ბორდო“ 2:1, „ლიონი“ – „ვალანსიენი“ 1:1, „პსჟ“ – „არლე“ 4:0.

კალათბურთი

# ამერიკული ბოსფორი

**მართალია, თურქეთში გამართულ კალათბურთელ ვაჟთა მორიგ მსოფლიო ჩემპიონატზე უმთავრესი ფავორიტი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრები სუპერვარსკვლავების კობი ბრაიანტისა და ლებრონ ჯეიმსის გარეშე ჩავიდა, მაგრამ ლიდერთა ნაკლებობას მაინც არ განიცდიდა.**



მათგან, ვინც მაიკლ კრჟიჟევსკის გუნდის ღირსებას იცავდა, განსაკუთრებით კევინ დიურანტი გამოირჩეოდა, რომელმაც პირადად გადაწყვიტა ლიტველებთან ნახევარფინალური ბრძოლის ბედი 38 (!) ქულით – 89:74.

დრამატულად განვითარდა მოვლენები მასპინძელთა და სერბთა შეხვედრაში, რომლის პირველი ნახევარიც ველიჩკოვიჩის, ბიელიცას, თეოდოსიჩისა და კესელის ძალისხმევით ბალკანელებმა მოიგეს – 42:35.

ეტყობა, მეოთხედფინალში ესპანელებთან მოპოვებულმა მძიმე გამარჯვებამ დუშან ივკოვიჩის შეგირდებს დიდი ენერგია წაართვა. სხვაგვარად ძნელია აიხსნას ოსმალებთან მატჩის მეორე ტაიმში მათ მიერ ნაჩვენები დუნე თამაშის ხარისხი, როცა 15 ათასი ფანატიკოსი გულშემატკივრით გამხნევებულმა ბოგდან ტანიევიჩის ბიჭებმა უკანასკნელ წამებზე მიაღწიეს წარმატებას – 83:82. ისინი პირველად გავიდნენ „მუნდიალის“ ფინალში, რასაც უპირველესად თურქოღლუს, თუნჩერის,



ილიასოვას, ასიკსა და სინანს უნდა უმადლოდნენ.

ყველას ეგონა, რომ ბოსფორელები სატიტულო დუელშიც ღირსეულ წინააღმდეგობას გაუწევდნენ ოკეანისგაღმელებს, მაგრამ ძალები აღარ ეყოთ – 64:81.

უმაღლესი რანგის ფორუმის მესამე პრიზიორი ლიტვა გახდა, რომელმაც სერბეთს სძლია – 99:88, ხოლო ოლიმპიადის მეხუთე საგზურის მფლობელმა არგენტინამ აწ უკვე ყოფილი გვირგვინოსანი ესპანეთი დაჯაბნა – 86:81.

ძიუდო

# ფიასკო

**ასეთი რამ, ყოველ შემთხვევაში 21-ე საუკუნეში, არც გვახსოვს – ქართველი ძიუდოისტები მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებიდან ხელმოცარული დაბრუნებულიყვნენ.** არადა, ამომავალი მზის ქვეყანაში, სადაც 15 (!) ქართველი ფალავანი გამოდიოდა, კვარცხლბეკზე ვერავინ ავიდა. ფიასკო! თანაც თავისმოჭრა – სპორტსმენი სარბიელამდე ვერ მივიყვანეთ. ყველაფერი ეს, როგორც სპორტის მინისტრმა ლადო ვარძელაშვილმა თქვა, ამ დღეებში მკაცრი განსჯის საგანი გახდება. რა სანქციები მოჰყვება მას, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

ჭადრაკი

# სტუდენტური ნადავლი

**ციურიხში მოჭადრაკეთა მსოფლიოს საუნივერსიტეტო ჩემპიონატში საქართველოდან 2 დიდოსტატი და ამდენივე საერთაშორისო ოსტატი მონაწილეობდა. გოგონებში წარმატებით ითამაშა სოფიო გურამიშვილმა – ცხრა შესაძლებლიდან მან 6,5 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილი დაიკავა.**



იგი ნახევარი ქულით ჩამორჩა მონღოლ ბათჰუიაგ მონგონთოლულს, რომელსაც ოქროს მედალი ერგო. ვერცხლი ხვდა სერბ დრლევიჩს. მანაც 6,5 ქულას მოუყარა თავი, მაგრამ გურამიშვილს უკეთესი კოეფიციენტით გაუსწრო. თამარ წერეთელმა 5,5 ქულით მე-6 ადგილი დაიკავა.

ვაჟებში ჩვენებურთაგან 6,5 ქულით ასევე „ბრინჯაოს“ გამორჩა დავით ბენიძე. მასაც კოეფიციენტით აჯობა ყაზახმა ანუარ ისმაგ ამბეტოვმა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა. ცხრა შესაძლებლიდან 8,5 ქულით ჩემპიონობა ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა იუ ვენმა (2732) მოიპოვა. 5,5 ქულით მალხაზ სულაშვილი მე-15 იყო.

ტურნირის დამთავრების შემდეგ გუნდური შედეგებიც შეჯამდა. 19 ქულით პირველობა მონღოლებმა იგრძნეს. გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩა საქართველოს ნაკრები. ასევე 18,5 ქულით, ოღონდ უარესი კოეფიციენტით მესამე ადგილი რუსებს დარჩათ.

**გივი გაგუა**

ავტოსპორტი

# პირველად 2006 წლის შემდეგ

**„ფერარის“ პილოტმა ფერნანდო ალონსომ მოიგო ავტორბოლაში „ფორმულა-1“ მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი ეტაპი „იტალიის გრან-პრი“. ეს იყო „ფერარის“ პირველი გამარჯვება შინ, მონცაში 2006 წლის შემდეგ.**

ფინიშთან მეორე მოვიდა ჯენსონ ბატონი („მაკლარენი“), მესამე კი იყო „ფერარელი“ ფელიპე მასა. საერთო ჩათვლაში ადრინდელმა ლიდერმა ლუის ჰემილტონმა („მაკლარენი“) სასტარტო წრეზევე მიატოვა რბოლა ბოლიდის დაზიანების გამო. ახლა ლიდერი გახდა მარკ უებერი „რედ ბულიდან“, რომელიც ჰემილტონს უსწრებს ხუთი ქულით. ალონსომ კი საერთო ჩათვლაში მეხუთიდან მესამე საფეხურზე აიწია. ჩემპიონატის დასასრულამდე ხუთი ეტაპით ადრე ჩემპიონობაზე პრეტენზიას ხუთი პილოტი აცხადებს.




შემდეგი ეტაპი გაიმართება სინგაპურში 24-26 სექტემბერს.

ინტერნეტიდან

## ჯერ გადახტი...



**ალბათ გახსოვთ, ამას წინათ (9.09) ვწერდით, რომ ფრანკფურტში ფეხბურთის სტადიონზე გასამართი მატჩის წინ მსოფლიო ჩემპიონი, უკრაინელი ვლადიმირ კლიჩკო და ნიგერიელი სემიუელ პიტერი რომ უნდა შეხვედროდნენ ერთმანეთს, ამ უკანასკნელის მწვრთნელმა განაცხადა, რომ მე-6 რაუნდში პიტერი კლიჩკოს დაამარცხებს და მას ნოკაუტში გაუშვებსო.**

ეს შეხვედრა მართლაც გაიმართა 11 სექტემბერს და გაგვახსენა ჭკვიანური ნათქვამი. ჯერ გადახტი, ჰოპ! – მერე დაიძახეო.

მატჩის შემდეგ დამარცხებული და მეათე რაუნდში ნოკაუტში გაგზავნილი პიტერი ფრანკფურტის ერთ-ერთ საავადმყოფოში აღმოჩნდა. ნოკაუტში კი ის მე-10 რაუნდში ჩავარდა. როგორც ამბობენ, ის საავადმყოფოში რამდენიმე დღე უნდა დარჩეს მკაცრი საექიმო კონტროლის ქვეშ.

მისი მენეჯერი ივაილო გოტცევი აცხადებს, რომ სუპერმძიმე წონის კლიჩკოს დამარცხება ძალზე ძნელი იქნებაო.

## ლარისას ჩინეთშიც მიბაძეს

**ფეხბურთის გულშემატკივრებს კარგად ახსოვთ პოპულარული პარაგვაელი ლამაზმანი მოდელის ლარისა რიკელმეს დანაპირები, – თუკი მსოფლიო ჩემპიონატზე მისი ქვეყანა გაიმარჯვებდა, ის საჯაროდ გაშიშვლდებოდა. თუმცა მისი სათაყვანებელი ნაკრები ვერ გაჩემპიონდა, მაგრამ ლარისამ დაპირება მაინც შეასრულა და ფოტოსესიაზე გაშიშვლდა.**

და აი, ლარისას მიმბაძველი გამოუჩნდა ჩინეთშიც. ამ ქვეყანაში ცნობილმა მომღერალმა და მსახიობმა ლიუ ი ფეიმ გადაწყვიტა გატიტვლება, თუკი კალათბურთში ჩინეთის ნაკრები მოხვდებოდა მსოფლიო ჩემპიონატის პლეი-ოფში. ამით მან საზოგადოება გააოცა. როგორც ჩანს, ჩინელ კალათბურთელებს ლამაზმანის ეს იდეა მოეწონათ და ყველაფერი იღონეს პლეი-ოფში მოსახვედრად. მსახიობმა და მომღერალმა დანაპირები შეასრულა, მაგრამ თავისი სიშიშვლე რომ რაღაცნაირად დაეფარა, კალათბურთის ბურთი გამოიყენა. ალბათ ჩინეთში მაინცდამაინც არ მოეწონებოდათ მისი ასეთი პიკანტური ფოტოსესია.



## საზოგადოებრივი ტრანსპორტი

# კეთილ მგზავრობას გისურვებთ „მეტრომანით“!

**თქმა არ უნდა: პლასტიკური ბარათები, როგორც გადახდის საშუალება – საბანკო იქნება თუ რომელიმე სახეობის მომსახურებისა, რომლებიც მიმოქცევიდან თანდათანობით აქევებენ ნაღდ ფულს, ურიგო გამონაგონი ნამდვილად არ არის და მთელ მსოფლიოში დიდი ხანია, ფართოდაა გავრცელებული. ამ ბოლო დროს პლასტიკურმა ბარათებმა ჩვენს ყოფაში შემოაღწიეს – 1 ოქტომბრიდან მეტროპოლიტენით მგზავრობისთვის მათი ქონა აუცილებელი იქნება, ვინაიდან მეტროს ჟეტონები საერთოდ უქმდება.**

თბილისელები და დედაქალაქის სტუმრები უდავოდ ყურადღებას მიაქცევდნენ მეტროს სადგურების სალაროებთან გამოკრულ განცხადებებს, რომლებითაც შპს „თბილისის მეტროპოლიტენი მოსახლეობას ახალი კამპანიის შესახებ ამცნობს. კერძოდ, 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე უფასოდ გაიცემა საქალაქო ტრანსპორტით სამგზავრო ბარათები „მეტრომანი“. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ მეტროს ჟეტონები ოქტომბრიდან უქმდება, შესაბამისად, **მეტროპოლიტენით მგზავრობა მხოლოდ პლასტიკური ბარათებით იქნება შესაძლებელი, თუმცა ავტობუსებში, ყოველ შემთხვევაში, ალბათ, რაღაც დროის მანძილზე მაინც, ძველებურად ხურდა ფულიც „გაჭრის“.**

აქვე საგანგებოდ იმასაც აღვნიშნავთ, რომ **მეტროპოლიტენით სარგებლობის ახალი პლასტიკური ბარათების „მეტრომანის“ შემოღება ადრე ხმარებაში მყოფ ყველა ტიპის ბარათს არ აუქმებს, ისინი უწინდელივით ძალაში არიან და, ამდენად, ამ მხრივ მათ მფლობელებს არანაირი, პრობლემა არ შეექმნებათ.**

„მეტრომანის“ ბარათის უფასოდ აღებისას მომხმარებლისთვის **აუცილებელია** პირადობის მოწმობის წარდგენა და დეპოზიტზე თუნდაც ერთი ლარის დადება. პლასტიკურ ბარათზე გარკვეული თანხის შეტანა არავითარ კითხვას არ ბადებს, ვინაიდან ეს ხომ, ფაქტობრივად, მომავალი მგზავრობის საფასურის წინასწარ გადახდას ნიშნავს. ჩვენი გაკვირვება რამდენადმე პირადობის მოწმობის წარდგენის აუცილებლობამ გამოიწვია, რაც, ფაქტობრივად, ნომრიანი პლასტიკური ბარათის გამოყენებისას მოქალაქის თავისუფალი გადაადგილების გაკონტროლების საშუალებას იძლევა: **როცა ავტომატი თქვენს მგზავრობას ამ პლასტიკური ბარათით დააფიქსირებს, თქვენი გადაადგილება მეტროთი თუ ავტობუსით სავსებით ექვემდებარება კონტროლს, რაც, სხვა თუ არაფერი, კონსტიტუციით მონიჭებული უფლების ხელყოფაა.**

მეორე მომენტი, რომელიც ჩვენს ყურადღებას ადრეც იპყრობდა, ის არის, რომ, როგორც ცნობილია, თუ საქალაქო ტრანსპორტით (მეტროპოლიტენით და ავტობუსით) დღის განმავლობაში პირველი მგზავრობის საფასური 40 თეთრი, მეორესი – 30, ყველა დანარჩენს კი 20, მათ შორის შუალედი 30 წუთზე ნაკლები არ უნდა იყოს, თორემ ავტომატი ისევ წინა, ან შეღავათიან, ანდა, სულაც, შეღავათის გარეშე თანხას ჩამოგაწერთ ანგარიშიდან. **მაგრამ, თუკი, ვთქვათ, დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად, ჯერ მეტროთი უნდა იმგზავროთ, მერე კი ავტობუსით, ვითომ მეორე და შემდგომი მგზავრობისთვის გათვალისწინებული შეღავათი თქვენზე რატომ არ უნდა გავრცელდეს?**

ამდენად, ამ და საკითხთან დაკავშირებული ზოგიერთი სხვა ნიუანსის გასარკვევად, კომპანია „მეტროსერვის პლუსს“ მივმართეთ, სადაც რამდენიმე გარემოებაში გაგვარკვიეს.

დავიწყოთ იმით, რომ, რაკი 1 ოქტომბრიდან მეტროს ჟეტონები უქმდება, ახალ პლასტიკურ ბარათ, „მეტრომანებს“ კომპანია ამ ვადამდე მომხმარებელს ჩუქნის, ხოლო შემდგომ მათი ფასი 2 ლარი იქნება. „მეტრომანის“ მიღებისას პირადობის წარდგენა კი იმიტომაა აუცილებელი, რომ კამპანიის დაწყებისთანავე ხალხს ერთი კი არა, ორი, სამი და მეტი ბარათიც მიჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ **ერთ მოწმობაზე აღებული მხოლოდ ერთი ბარათი იქნება ძალაში, ყველა დანარჩენი კი დაიბლოკება, ამდენად, დეპოზიტზე შეტანილი ნებისმიერი ოდენობის თანხა მომხმარებლისთვის დაიკარგება.** რაც შეეხება მეორე და შემდგომ მგზავრობებზე შეღავათის მიღებას, რაც პლასტიკური ბარათით სარგებლობის პირობებითაა გათვალისწინებული, „მეტროსერვის პლუსში“ განგვიმარტეს, რომ **შეღავათი არ იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ნახევარ საათზე ნაკლებ დროში მაინცდამაინც იმავე ავტობუსით მოგიწიათ მგზავრობა,** თორემ იმავე მარშრუტის სხვა ავტობუსით მგზავრობის შემთხვევაშიც კი კუთვნილი შეღავათის შესაბამისი იქნება.




**რაც შეეხება მეტროპოლიტენით მგზავრობას, იქ ნახევარსაათიანი „უშეღავათობის“ პრინციპი ბოლომდე მოქმედებს, თუმცა, როგორც „მეტროსერვის პლუსში“ აცხადებენ, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და ახლო მომავალში მის გადაჭრასაც გვპირდებიან.**

**ოთარ ტურაბელიძე**

## ფიქრები წიწამურის ობელისკთან...

# ილია მართალი – საქართველოს მომავლის გზის გამკვალავი

**12 სექტემბერს პომპეზურად აღინიშნა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის დღე. როგორც ყოველთვის, ითქვა ბევრი საქებ-სადიდებელი სიტყვა ილიას მიმართ, მაგრამ არ ითქვა ის, რომ რაც უფრო დრო გადის, ვშორდებით მას და მის მემკვიდრეობას.**

მაშ ასე – 103 წელი ილიას გარეშე. „წიწამურთან რომ მოკლეს ილია, მაშინ ეპოქა გათავდა დიდი“ – წერდა გალაკტიონი და სამწუხაროდ, საქართველოს სვლა კვლავ გრძელდება ილიას გარეშე ამ ხნის მანძილზე...

ვიყოთ მართალნი ილია მართალივით – ილია მარტო ფასადად და სიტყვის მასალად გვჭირდება დღეს. მისი უმთავრესი მემკვიდრეობა – „საერთო ნიადაგის“ თეორია, ამ თეორიის ორ ათეულზე მეტი სამართლებრივი, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი პრინციპები გამოუყენებელ განძად გვრჩება დღემდე... **„გაუფრთხილდით მიწას! გაუფრთხილდით ქართველ გლეხს და ქართულ სოფელს!“** – გვიკიჟინებდა მაშინაც და დღესაც. ჩვენ კი ყველაზე **უპატრონოდ მიგდებული სწორედ რომ მიწა, სოფელი და გლეხი გვყავს დღეს...**

ყველაფერ ამას რომ თავი ვანებოთ, თვითმხილების ფაქტად წიწამურის ობელისკზე წარწერაც კმარა: არა, ბატონებო, „ოხრანკას“ არ მოუკლავს ილია, მას თავისი ცოდვებიც საკმარისზე მეტი აქვს – ილია ჩვენ მოვკალით, ჩვენმა ანტიეროვნულმა იდეოლოგიამ. აკი, წერდა ნოე ჟორდანია – ქართველმა ხალხმა უარყო ილიას „საერთო ნიადაგის“ თეორია და მესამე დასის ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ დადგაო... რაც „ილიალოგთა კლუბი“ არსებობს, ეს ოცი წელია ვწერთ და ვამბობთ – ობელისკზე წარწერა ასე უნდა შეიცვალოს:

**„აქ 1907 წლის 30 აგვისტოს (ახალი სტილით 12 სექტემბერსძ, „მესამე დასის“ მარქსისტი ინტერნაციონალისტების წაქეზებით მოკლეს ეროვნული მოძრაობის ბელადი და იდეოლოგი, „საერთო ნიადაგის“ თეორიის ფუძემდებელი ილია ჭავჭავაძე“.**

თუ სიმართლე გვინდა, სიმართლე ეს არის!



**ელბერდ ბატიაშვილი**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.

**შვილები კონსტანტინე, ზაირა, შვილიშვილები ეკატერინე, თინათინი, დავითი ელიზავეტა, ნინო, რძლები ლუდა, ნათია, შვილთაშვილები ელენე, ანა-მარია, კონსტანტინე, ნოელი, თეკლა, იუწყებიან რომ გარდაიცვალა**

**აფროდიტა (თინაძ კუჭუხიძე**

**პანაშვიდი 14, 15 IX, 16 სთ. მის: ქ. თბილისი, ზაქარიაძის ქუჩა №8, II სად. ბ. 34. დაკრძალვა 16 IX. გამოსვენება საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან 14 სთ.**

---

**მეგობრები სერგო აბაშიძე, რომან სულაბერიძე, ამირან დოლიძე, რეზო ლოლუა, ზაალ ნოდარიშვილი, რამაზ ჯიქია, ვარადებული ერემაძე თანაგრძნობას უცხადებენ კოტე კუჭუხიძის ოჯახს დედის**

**აფროდიტა (თინაძ კუჭუხიძის**

**გარდაცვალების გამო.**

---

**საზოგადოება ზუგდიდელების სახელით ოთარ ფაცაცია, ბონდო ჯიქია, ანზორ შონია, მურმან ნაჭყებია, ანზორ ქუჩულორია, ჯემალ კვირტია, ოთარ ჭითანავა, კუკური როგავა, ზურაბ ჩიქავა, კარლო ვეკუა, რობერტ ბაღიშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა დიდებული ოჯახის შვილი, ღირსეული მამულიშვილი**

**ჯემალ შენგელი**

**და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

## ინფორმაცია

### პირველ აგვისტომდე უბილეთოდ მგზავრობისათვის დაჯარიმებულთ სახდელისგან ათავისუფლებენ

**2010 წლის 1-ელ აგვისტომდე უფასოდ მგზავრობისთვის დაჯარიმებული პირები, რომლებსაც ჯარიმა ჯერ არ გადაუხდიათ ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლდებიან. მათთვის ამ შეღავათის დაწესებას პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წევრების ლაშა თორდიას, კახა ანჯაფარიძის და ზვიად კუკავას საკანონდებლო ინიციატივა ითვალისწინებს.**

„ადმინისტრაცილი სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს იმ ფიზიკური პირების ადმინისტრაციული სახდელისგან გათავისუფლებას, რომელთაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მეოთხე ნაწილის ა ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა ჩაიდინეს 2010 წლის 1-ელ აგვისტომდე და რომელთა მიმართაც ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება არ აღსრულებულა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ეს მუხლი კი ითვალისწინებს მგზავრების უბილეთოდ მგზავრობას, აგრეთვე 10-დან 16 წლამდე ასაკის ბავშვების უბილეთოდ წაყვანას ტროლეიბუსით, ტრამვაით ადგილობრივი საქალაქო რეგულარული გადაყვანის ავტობუსით. აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტში გუშინ იქნა ინიცირებული და სესიაზე განხილვა მისი საკომიტეტო განხილვების შემდეგ მოხდება.

### მალე აჭარაში რთველი დაიწყება

**როგორც აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იტყობინებიან, რეგიონში წელს 1200 ტონა ყურძნის მოსავალს ელოდებიან, საიდანაც 840 ტონა ცოლიკოურის ჯიშის ყურძენი, 80 ტონა ჩხავერის, ხოლო 280 ტონა ყურძნის სხვა ჯიშების იქნება. აჭარაში ყურძნის მოსავლის 80 %-ი ქედაზე მოდის.**



რთველი ქედის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ოქტომბრის მეორე ნახევარში იწყება, თუმცა, მიმდინარე წელს რთველი სექტემბრის ბოლოს დაიწყება და აქტიურ ფაზაში ოქტომბრის პირველ ნახევარში შევა.

ქედაში ვენახის საერთო ფართობი შეადგენს 82 ჰექტარს, სადაც 2009 წელს ყურძნის მოსავალმა 535 ტონა შეადგინა.

მიმდინარე წლის პროგნოზით გათვალისწინებულია 530 ტონა ყურძნის წარმოება.

აჭარაში სამრეწველო დანიშნულებით ძირითადად ცოლიკოურისა და ჩხავერის ჯიშის ყურძენი იწარმოება. მთლიანად წარმოებული ყურძნიდან 80%-ს ცოლიკოური შეადგენს, 15%-ს ჩხავერი და 5%-ს სხვადსხვა სასუფრე და საღვინე ჯიშები.

### ქართული ღვინო – საერთაშორისო გამოფენაზე

**მალე ქართულ ღვინოს საერთაშორისო გამოფენაზე გაიტანენ. როგორც სოფლის მეურნეობის სამინისტროდან იტყობინებიან წლის ბოლომდე ქართული ღვინის კომპანიები კანადასა და სინგაპურში დაგეგმილ გამოფენებზე წარდგებიან და საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის იმიჯის გამყარებას შეეცდებიან.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კანადაში ღვინის საერთაშორისო გამოფენა 18-21 ნოემბერს, ხოლო სინგაპურში 28-29 ოქტომბერს გაიმართება.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, კანადასა და სინგაპურში დაგეგმილ გამოფენებში 12 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანია მონაწილეობს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

## სპეცსამსახურთა საიდუმლოებები

**ანა კუშჩენკო (ჩეპმანი), მიხეილ კუციკი (ზოტოლი), ნატალია პერევერზევა (მილზი) და კიდევ რვა კაცი... ამ „შტირლიცების“ ნამდვილი და ყალბი სახელები არავის ეცოდინებოდა, რომ არა ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში ატეხილი გრანდიოზული ჯაშუშური სკანდალი.**

# ფრადკოვის თერთმეტი მეგობარი




### ვინ არიან ისინი?

**„იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაშიც მათ ბრალს სდებს გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბძ), ისინი უეჭველად პროფესიონალები არიან, – აცხადებს ჟურნალ „ნაციონალნაია ობორონას“ მთავარი რედაქტორი იგორ კოროტჩენკო.** – თანაც ისინი საგარეო დაზვერვის ელიტას – არალეგალებს განეკუთვნებიან. მოცემულ ეტაპზე მათი ძირითადი მისია ამერიკელ მოქალაქეთა სახით შენიღბვა, საჭირო კავშირების გაბმა და ინფორმაციის წყაროების მოძიება იყო, რაც მომავალში ეროდ დღემდე ჯერ ვერავინ შეძლო ამ ფულის კვალის თვალის გადევნება საზღვარგარეთული ბანკებიდან ადრესატამდე. საიდუმლო სანახები – ესაა ჯაშუშური კლასიკა, რომლის უკეთესი ჯერ არავის გამოუგონია. ამავე დროს, ჯაშუშთა ჩავარდნილი ქსელის წევრები ინფორმაციის გაცვლის ულტრათანამედროვე მეთოდებსაც მშვენივრად იყენებდნენ – ყველას ჰქონდა საგანგებო რადიოარხით ურთიერთდაკავშირებული ნოუტბუკი, რომელთა გადაცემის „გამოჭერა“ ძალიან რთულია. მაგრამ საქმე ისაა, რომ ამერიკელებმა ამ არხის გაშიფვრა მაინც შეძლეს. ნაკლებად საიდუმლო ინფორმაციის გადასაცემად ჯაშუშები ინტერნეტის სოციალურ ქსელებს იყენებდნენ. მოკლედ, ეს ჯგუფი თავიდანვე მიპოლიტიკური, ეკონომიკური თუ სამხედრო-ტექნიკური ხასიათის მონაცემთა მოპოვებაში დაეხმარებოდა. ამ ეტაპზე მათ არ ჰქონდათ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო საიდუმლოებების გაგების შესაძლებლობა – რაღაც მიზეზთა გამო ქსელი საწყისივე სტადიაში გამოაშკარავეს. მთელი ინფორმაცია, რომელიც მათგან ცენტრში მიდიოდა, ფაქტობრივად, მხოლოდ კავშირის არხების შემუშავებით. ფულის გადაცემითა და ა.შ. შემოიფარგლებოდა“.

### რაში „დაიწვნენ“ აგენტები?

**„არალეგალების“ სისტემა დაზვერვის ძველისძველი მეთოდია, რადგან მათ ყველა დროში უპირატესობა ჰქონდათ ე.წ. „სახურავს ქვეშ“ მოქმედი აგენტებისგან, რომლებიც ნომინალურად სავაჭრო, დიპლომატიურ და ა.შ. წარმომადგენლობების მუშაკებად ირიცხებოდნენ.** ეს უპირატესობა იმაში გამოიხატებოდა, რომ მათი გამოაშკარავება მხოლოდ კონტრდაზვერვის მიერ შეგზავნილი ანდა გადაბირებული აგენტის, ე.წ. „თხუნელას“ მეშვეობით თუ იყო შესაძლებელი. ვარაუდობენ, რომ ამ შემთხვევაშიც ასე მოხდა და ამ ქსელის გამცემი „თხუნელა“ ფულზე მუშაობდა, რომელიც უკვე მიღებულიც ექნება. თუ ვინ არის იგი, ეს ახლა უკვე კონტრდაზვერვის თავსატეხია. არ გამორიცხავენ, რომ მისი კვალი გარე დაზვერვის „C“ სამმართველომდე მიდიოდეს, რომელიც „არალეგალებთან“ მუშაობაზეა პასუხისმგებელი. მაღალი დიპლომატიური წრეების სანდო წყაროს ინფორმაციით, ამ ჩავარდნაზე პასუხი ახლო მომავალში შესაძლოა გარე დაზვერვის სამსახურის უფროსს მიხეილ ფრადკოვს აგებინონ.

### რატომ იყენებდნენ მოძველებულ მეთოდებს?

**უკაცრიელ ადგილას მიწაში ჩაფლული ფულით სავსე ჩემოდანი არალეგალური ფინანსირების მართლაც რომ ძველისძველი მეთოდია, სამაგიზანდასახულად რომ არ „ემწყემსად“, მათ ხელთ არსებული დაშიფვრის საშუალებები უსაფრთხო მუშაობისთვის სავსებით საკმარისი იქნებოდა, რაც ისევ „თხუნელას“ არსებობას მიანიშნებს.**

### რატომ გახმაურდა ეს საქმე მაინცდამაინც ახლა?

**„აშშ იუსტიციის სამინისტროს საიტზე განთავსებული ინფორმაციით თუ ვიმსჯელებთ, რუსეთელ ჯაშუშებზე დაწესებული თვალყურის დევნება იმდენად ყოვლისმომცველი იყო, რომ დფბ მათ თითოეულ ნაბიჯს აკონტროლებდა, ხოლო ჯგუფის ზოგიერთი წევრის დამუშავება დაახლოებით 10 (!ძ წლის მანძილზე გრძელდებოდა, – ამბობს სუკ-ის გადამდგარი პოლკოვნიკი ოლეგ ნეჩიპორენკო.** – მიუხედავად ამისა, თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ, როგორც წესი, ამგვარი „ჯაშუშური სკანდალები“, ჩვეულებრივ, დიდი მასშტაბის პოლიტიკურ მოვლენების კონტექსტში ხდება ხოლმე. ამ შემთხვევაში, საქმე სასამართლოს გადაეცა აშშ-სა და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრისა და ტორონტოში მსოფლიო წამყვანი ქვეყნების ლიდერთა სამიტის დასრულებისთანავე. ამ ღონისძიებათა შედეგად თითქოს მოსალოდნელი იყო დასავლეთსა და რუსეთს შორის „ალორძინების ეპოქის“ დაწყება, თუმცა ეს ფრთხილი ოპტიმიზმი მაშინვე „ჯაშუშურმა სკანდალმა“ გააპირწონა.

მოამზადა **ოთარ ტურაბელიძემ**

## ანეკდოტები

**ბანკის გაძარცვისას მძარცველს მოულოდნელად ნიღაბი ჩამოძვრა.**
**– ჩემი სახე დაინახე? – ჰკითხა მან მოლარეს.**
**– კი.**
**– ჰოდა, აწი ვერაფერს დაინახავ! – ჩახმახს გამოჰკრა თითი ბანდიტმა.**
**– კიდევ ვინ დაინახა ჩემი სახე?**
**– ჩემმა სიდედრმა, მაგრამ იგი, სამწუხაროდ, სახლშია! – სამარისებური სიჩუმე დაარღვია დარბაზის სიღრმიდან მამაკაცის ხმამ.**

* * *

**ივანიჩი აფრიკული მივლინებიდან დაბრუნდა.**
**– რად ხარ ასე მოწყენილი? – ეკითხება ძმაკაცი.**
**– იცი რა... აფრიკაში მაიმუნთან მქონდა სექსი.**



**– ოოო. თუმცა, ნუ გეშინია, მე არავის ვეტყვი, მაიმუნი კი, თავისთავად, ვერავის ეტყვის რამეს!**
**– ეეჰ, საქმეც სწორედ ეს არის! ვერ იტყვის, ვერ დაწერს, ვერ დარეკავს...**

* * *

**ჰიპერმარკეტი. ყველა ნაწარმზე წარწერაა დაკრული: „აქცია: სიკეთე საზღვრებს გარეშე! ამ ნივთის ყიდვით ბავშვს ეხმარებით!“ წარწერის ცენტრში კი ჰიპერმარკეტის დირექტორის და მისი შვილის ფოტოა.**

* * *

**– ვასილი ივანიჩ, რა არის ეს, ჭრილობას მხოლოდ არყით რომ მკურნალობ? ანტიბიოტიკები არ არსებობს?**
**– ვსვამდი მაგ ანტიბიოტიკებსაც, პეტკა! ისინი, შეიძლება ადამიანს შველიან კიდეც, მაგრამ რად გინდა, ვერც ვერაფერს მიატან, ვერც ვინმეს დაელაპარაკები...**

## დღის კალენდარი

### 14 სექტემბერი

**გვირგვინი წელიწადისა და დაწყება ინდიქტიონისა ანუ ეკლესიურის ახლისა წელიწადისა. კრება ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა მიასინეს სავანეში (ხსენება წმიდა ხატის პოვნისაძ (864ძ; ღირსისა სვიმეონ მესვეტისა, არქიმანდრიტისა ( 459ძ; მოწამისა აითალა დიაკონისა (380ძ; 40-თა მოწამეთა ქალწულთა მმარხველთა და მოწამისა ამუნი დიკონისა, მოძღვრისა მათისა (IVძ; მოწამეთა: კალისტასი და ძმათა მისთა, ებოდისა და ერმოგენისა (309ძ; მართლისა ისუ (ისოძ ძისა ნავესი (XVI ს. ქრისტეს შობამდეძ.**



**ამოდის 05.37**
**ჩადის 18.18**

**ამოდის 09.15**
**ჩადის 19.36**

### დაიბადნენ:

**1849 – ივანე პავლოვი,** რუსი მეცნიერი, ფიზიოლოგი.
**1873 – მიხეილ მამულაშვილი,** მებაღე-დეკორატორი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
**1915 – სერგო კობალაძე,** ქართველი თერაპევტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
**1934 – ამირან ჭიჭინაძე,** კინოდრამატურგი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.
**1942 – ელისო ვირსალაძე,** ცნობილი ქართველი პიანისტი.

### გარდაიცვალნენ:

**1984 – ნოდარ დუმბაძე,** მწერალი.
**1901 – უილიამ მაკ-კინლი,** აშშ-ს 25-ე პრეზიდენტი.
**1927 – აისედორა დუნკანი,** ცნობილი ამერიკელი მოცეკვავე. ქალი.

### მოვლენები:

**1812 წელი** – ნაპოლეონ ბონაპარტემ აიღო მოსკოვი.
**1829 წელი** – დაიდო ადრიანოპოლის ზავი. დასრულდა რუსეთთურქეთის 1828-1829 წლების ომი. რუსეთის ხელში გადავიდა ქართული ქალაქები – ფოთი, ახალქალაქი, ახალციხე, და ისტორიული სამცხე-საათაბაგოს ნაწილი.
**1866 წელი** – ჯორჯ ანდერსონმა დააპატენტა საბეჭდი მანქანის ლენტი.
**1901 წელი** – აშშ-ის პრეზიდენტი უილიამ მაკ-კინლი მანქანის ბორბალში შარფის ჩაყოლამ იმსხვერპლა.
**1959 წელი** – „ლუნა II“ მსოფლიოში პირველმა მიაღწია მთვარეს.
**1984 წელი** – ჯო ქეთინგერი პირველი ადამიანი გახდა, რომელმაც აეროსტატით ატლანტიკის ოკეანეს გადაუფრინა.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**აშშ** – სახელმწიფო ჰიმნის დღე.
**გვატემალა, ნიკარაგუა** – სან-ხასინტოს დღე.

**მედიანიუსი**

**გაზეთის დღევანდელი ნომერი 20-გვერდიანია**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.